საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 11 მარტი. 2020 წ. №44 (8970) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

პოლიტიკური „კორონები“

4

საკუთარ ბოღმაში ჩასრჩობის წინ...

საქართველოს საპატრიარქო: ტაძრებში ზიარების წესი არ შეიცვლება

ტაძრებში ზიარების წესი არ შეიცვლება. ამის შესახებ Imedinews-ს საპატრიარქოში განუცხადეს. როგორც საპატრიარქოში განმარტავენ, ზიარება ტაძრებში ჩვეული წესით გაგრძელდება, როგორც ეს დადგენილია. შესაბამისად, ზიარებისთვის ერთჯერადი კოვზების გამოყენება არ იგეგმება.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ერთ-ერთი რეკომენდაცია, მათ შორის, საპატრიარქოსა და ეკლესიისადმი, ერთჯერადი ჰიგიენური საშუალებების გამოყენებაა.

ამასთან, საპატრიარქოში განაცხადეს, რომ **„ისტორიულად, ეპიდემიის გავრცელების პერიოდებში, მართლმადიდებელი მორწმუნენი არათუ უშინდებოდნენ საერთო ბარძიმიდან საერთო კოვზით ზიარებას, პირიქით, კიდევ უფრო ხშირად მიეახლებოდნენ ამ სიწმინდეს, რადგან წმინდა ზიარებისას ადამიანი იღებს ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს“.**

რატომ რჩება ქართული ჯარი ავღანეთში?

3

პრობლემები აჭარის ზღვასა და ცაში...

მეშვეულიანი ბათუმის ახალ ტერმინალს მტრად მოევლინა თუ მოყვრად?!

ამერიკული ინვესტიციის გაურკვეველი ბედი საქართველოში

6

რატომ გახშირდა ფრინველის დაცემა შავი ზღვის სანაპიროზე?

მაღალბიუჯეტიანი ტურისტები და საქორწინო ტურიზმი

12

ავსტრალიელები

11

მადლობას გვიხდიან

პრეზიდენტმა ზუგდიდის განახლებული ბოტანიკური ბაღი და დადიანების სასახლე დაათვალიერა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი დაათვალიერა, რომლის კომპლექსური რეაბილიტაციაც 2 თვის წინათ დასრულდა.

რეაბილიტაციის 10-მილიონიანი პროექტის მიხედვით, ბაღის ტერიტორიაზე განახლდა არსებული შენობები, მოეწყო სასეირნო ბილიკები, ხელოვნური ტბა, ჰერბარიუმი. ბაღს დაემატა მცენარეთა ახალი ჯიშები. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, საქართველოს სხვა 4 ისტორიულ ბაღთან ერთად, ევროსაბჭოს კულტურულ მარშრუტში ჩაერთო.

ისტორიული ბაღების ევროპულ კავშირს საქართველო 2019 წელს შეუერთდა. პროექტი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მუნიციპალური განვითარების ფონდმა ზუგდიდის მერიასთან ერთად განახორციელა. ფონდ „ქართუსა“ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით კი, რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია საქართველოს მუზეუმების ასოციაციამ მომზადდა.

პრეზიდენტმა ასევე დაათვალიერა რეაბილიტირებული დადიანების ნიკოსეული სასახლე და დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ოქროს ფონდის გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მე-10 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით უნიკალური საეკლესიო ნივთები, ოქროს ხატები და სამკაულები. პრეზიდენტმა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან და ზუგდიდის მერთან ერთად დაათვალიერა.

თანამემამულის აღიარება

გაგა შურღაია – მწერალი, მთარგმნელი, მოაზროვნე, დიდი მეცნიერი

5

იტალიის ეროვნული პრემიის ქართველი ლაურეატი



პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული ოლქების სავარაუდო განაწილების შესახებ საუბრობს.

თბილისში - 7, დანარჩენ საქართველოში კი, 23 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი იქმნება

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული ოლქების სავარაუდო განაწილების შესახებ საუბრობს.

კობახიძის ინფორმაციით, 30 მაჟორიტარული ოლქიდან 12 დასავლეთ საქართველოში იქნება, ხოლო 18 აღმოსავლეთ საქართველოში.

მისივე განცხადებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მაჟორიტარული ოლქები შემდეგნაირად გადანაწილდება: აჭარა – 3, გურია – 1, სამეგრელო 3, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი – 1, იმერეთი – 4 , თბილისი – 7, შიდა ქართლი – 2, კახეთი – 3, ქვემო ქართლი – 3, სამცხე – ჯავახეთი – 2, მცხეთა-მთიანეთი – 1.

„მონახაზი გვაქვს შემუშავებული, დიდი მანევრირების საშუალება არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ სულ 30 ოლქი უნდა ჩამოყალიბდეს, უნდა განისაზღვროს შესაბამისი საზღვრები. ქალაქებზე – თბილისზე და სამ დიდ ქალაქზე გადანაწილდება დაახლოებით 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი და დანარჩენ შემთხვევაში იქნება მთლიანობაში 20 საარჩევნო ოლქი.

გამომდინარე იქიდან, რომ უნდა გავითვალისწინოთ რეგიონების სპეციფიკა, საზღვრები და სხვა შესაბამისი ფაქტორები, დიდი ლავირების საშუალება არ არის. აქედან გამომდინარე საკითხი არის არსებითად ტექნიკური. საკმაოდ მსხვილი ოლქები ყალიბდება ახალი გადანაწილების საფუძველზე, რიგ შემთხვევაში იქნება 4-5 მუნიციპალიტეტი ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, რაც ცვლის პრინციპში მაჟორიტარული არჩევნების სპეციფიკას გარკვეულწულად, თუმცა, ეს არის ახალი რეალობა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი საზღვრები.

თბილისში 7 საარჩევნო ოლქი უნდა ჩამოყალიბდეს, რაც შეეხება სხვა ქალაქებს, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, იქნება თითო მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. რუსთავის შემთხვევაში შეიძლება გახდეს საჭირო მთელი რიგი მიმდებარე სოფლების დამატება. ფოთის შემთხვევაში სასჭირო გახდება დამატებით 2 მუნიციპალიტეტის შეყვანა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ყველა შემთხვევაში იქნება ერთი დამოუკიდებელი მაჟორიტარული ოლქი და ა.შ.“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მამუკა მდინარაძე: მაჟორიტარი დეპუტატები ახალ მოდელს მხარს უჭერენ და ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ კახა ოქრიაშვილია

კითხვები, რომლებიც მაჟორიტარების მხრიდან ისმოდა ბოლო პერიოდის განმავლობაში, არის პასუხგაცემული. აქედან გამომდინარე, ამ შეთანხმებასთან და კომპრომისთან დაკავშირებით, მაჟორიტარებს პრეტენზია არ აქვთ. არის გამონაკლისი, კახა ოქრიაშვილი, ჩვენი კოლეგა და მეგობარი, რომელიც თავიდანაც ხისტ პოზიციაზე იყო და ასეთ ხისტ პოზიციას აფიქსირებს დღესაც, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ყველა სხვა მაჟორიტარი ამბობს, რომ, რადგან შერეული სისტემა არის შენარჩუნებული, მართალია, ნაკლები მაჟორიტარული ოლქით, მაგრამ მაინც, რადგან 50-პროცენტზე ოდნავ ნაკლები მხარდაჭერის შემთხვევაში კრიზისი არ შეიქმნება ქვეყანაში, ისინი მხარს დაუჭერენ ამ კომპრომისულ ვარიანტს. კომპრომისულ ვარიანტს მხარს უჭერს ყველა, ამიტომაც დაერქვა კომპრომისული და ამიტომაც შედგა შეთანხმება“, – განაცხადა მდინარაძემ.

იუსტიციის საბჭომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად ნინო ქადაგიძე შეარჩია

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო ქადაგიძის კანდიდატურა 12 ხმით შეარჩია. კანდიდატურის შესარჩევად საბჭომ კონსულტაცია უზენაესი სასმართლოს მოსამართლეებთან გამართა.

ნინო ქადაგიძის კანდიდატურა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოთხმა მოსამართლე წევრმა დააყენა. კანდიდატს ხმა არ მისცა ნაზი ჯანეზაშვილმა. უზენაეს

სასამართლოში საბჭოს გასვლით სხდომაზე სხვა კანდიდატურა და სხვა საკითხი არ დაყენებულა. საბჭოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. მან განაცხადა, რომ ეს პროცესი არის ფარსი. მანამდე კი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან კონსულტაციებისას ნინო ქადაგიძის კანდიდატურასთან ერთად დასახელდა შალვა თადუმაძის კანდიდატურაც, თუმცა მისი კანდიდატურა საბჭოს სხდომაზე აღარ დასახელებულა.

საბჭოს წევრებმა საკანონმდებლო ორგანოსთვის წარსადგენად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შემადგენლობიდან შეარჩიეს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი 2018 წლის 2 აგვისტოდან გახდა ვაკანტური. ნინო გვენეტაძემ თანამდებობა საკუთარი სურვილით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა.

დავით საგანელიძე გადადგომას არ გეგმავს!

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ მის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, „შეიძლება, ეს ძალიან ბევრს უნდა და ერთი სული აქვს, მაგრამ აბსოლუტურად არ განიხილება არც ერთ ინსტანციაში“. შეკითხვას, არიან თუ არა იმ ადამიანებს შორის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ვისაც მისი თანამდებობიდან წასვლა უნდა, საგანელიძემ ასე უპასუხა: **„რატომ გგონიათ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ყველას გულზე ვეხატები?! მიმაჩნია, რომ „ქართულ ოცნებაში“ არის ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც დღეს ვერ აფასებს სწორად სიტუაციას და ნამდვილად არ არის იმის ღირსი, რომ „ქართული ოცნების“ ემბლემა გულზე ატაროს. მე არავის ვგულისხმობ სახელებით და გვარებით. ამიტომ სჭირდება „ქართულ ოცნებას“ გადახალისება. როცა ახალი საპარლამენტო სია იქნება, ახალი მაჟორიტარები იქნებიან, ღმერთმა დაიფაროს, რომ იგივე სია იყოს და იგივე მაჟორიტარები. ადამიანები იმით განვსხვავდებით ცხოველებისგან, რომ ჩვენ ვიზრდებით, ყალიბდება ჩვენი ინტელექტი, გვეცვლება შეხედულებები რაღაცეებზე და, შესაბამისად, დღეს ვიღაც ისე არ აფასებს მოვლენებს და ასეც მოხდა ხომ, „ქართული ოცნება“ დატოვა ზოგმა და გავიდა“,** – განაცხადა საგანელიძემ.

მეკობრეების მიერ გატაცებული ქართველი მეზღვაურები აფრიკიდან სამშობლოში გუშინ დაბრუნდნენ!

15-დღიანი ტყვეობის შემდეგ მეკობრეების მიერ გატაცებული ქართველი მეზღვაურები აფრიკიდან სამშობლოში დაბრუნდნენ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, ბათუმის აეროპორტში მეკობრეთა ტყვეობიდან გამოხსნილ ქართველ მეზღვაურებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი თამარ იოსელიანი და აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ზაალ მიქელაძე დახვდნენ. თამარ იოსელიანის განცხადებით, გემთმფლობელმა, Oceangold Tankers Inc-მა ყველა შესაბამისი ნაბიჯი გადადგა მეზღვაურების ტყვეობიდან გამოსახსნელად და გამოავლინა კრიზის მართვის მაღალი უნარები, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა გათავისუფლების პროცესი. ცხრა მეზღვაური, მათ შორის ოთხი ქართველი, აფრიკის სანაპიროსთან 20 თებერვალს ლიბერიის დროშის ქვეშ მცურავ ტანკერზე ALPINE PENELOPE-ზე მეკობრეების თავდასხმის შედეგად დაატყვევეს. მეზღვაურები 6 მარტს გაათავისუფლეს.

ქართველი ემიგრანტი: იტალიის მთავრობა პანიკაშია, მოსახლეობა ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადადის და თავშესაფარს ეძებს

იტალიის მთავრობა პანიკაშია. მთავრობა კორონავირუსს მოუმზადებელი შეხვდა. ქვეყანში ვირუსის გავრცელების მაღალი რისკია, რადგან მოსახლეობა ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადადის და თავშესაფარს ეძებს. ამის შესახებ „2020NEWS“-ს იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა მაკა ჩხაიძემ განუცხადა.

„მთავრობა ვირუსს მოუმზადებლი შეხვდა და შეშინებულია. მარტო მოსახლეობა კი არა, მთავრობაც პანიკაშია. ყველაფერზე სერიოზულ კონტროლს ახორციელებს. სასწავლო დაწესებულებები 3 აპრილამდე დაიხურა, ყველგან სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება. ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ხშირად გამოდიან ტელევიზიით და რეკომენდაციებს გასცემენ, რომ ხელები ხშირად დავიბანოთ და მოვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს.

ძალიან მაღალი რისკი არის, რომ ჩვენთანაც, ქალაქ ბარშიც გავრცელდეს კორონავირუსი, რადგან ჩრდილოეთიდან ხალხი გამორბის და აქ – სამხრეთში ეძებს თავშესაფარს. პოლიცია და მთავრობა გვაფრთხილებს, რომ ქუჩაში არ გავიდეთ.

თუ ვინმე აუცილებელად უნდა წავიდეს სამსახურში და გარეთ გავა, მას პოლიცია აუცილებლად ამოწმებს და ითხოვს დოკუმენტს სამუშაოს შესახებ. კარაბინელები აზუსტებენ, ნამდვილად მიდის თუ არა ესა თუ ის პირი სამსახურში“, – განაცხადა მან.

მისივე თქმით, მოსახლეობამ უკვე დაიწყო საკვები პროდუქტებისა და სადეზინფექციო საშუალებების მომარაგება. ყველა ცდილობს სახლში დარჩეს და არ ჰქონდეთ კონტაქტი ერთმანეთთან.

„ჩვენ ვისთანაც ვმუშაობთ, მათაც გაგვაფრთხილეს, რომ სახლიდან არ გავიდეთ. ყველა ქართველი სახლში ვართ ჩვენს ბებიებთან ერთად. ვისაც ახლოს აქვს მარკეტი, შეიძლება გავიდეს, მაგრამ მე სულ სახლში ვარ. იტალიელებიც ერიდებიან გარეთ გასვლას. იმარაგებენ პროდუქტს, ასევე სადეზინფექციო საშუალებებს. ქალაქ ბარში ჯერ არ დაფიქსირებულა ვირუსი, მაგრამ მაღალი რისკის ქვეშ ვართ და ყველას გვეშინია“, – განაცხადა ემიგრანტმა მაკა ჩხაიძემ.

კორონავირუსის პრევენციისთვის საქართველოს აეროპორტებში თერმოკამერები დამონტაჟდა

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ცნობით, კორონავირუსის პრევენციისთვის თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში დამატებითი თერმოკამერები დამონტაჟდა. თერმოკამერების მეშვეობით აეროპორტებში ჩამომფრენი მგზავრების სკანირება უკონტაქტოდ ხდება.

უწყების ცნობით, თერმოკამერების მაღალი სიზუსტე განპირობებულია იმით, რომ კამერა სკრინინგის პროცესში იყენებს თერმულ ეტალონებს. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრს აღმოაჩნდა მაღალი ტემპერატურა, ინფორმაცია კამერაზე დაერთებული კომპიუტერის მეშვეობით მიეწოდება ოპერატორს. იგი თავის მხრივ გადასცემს ინფორმაციას შესაბამის სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის.

რატომ რჩება ქართული ჯარი ავღანეთში?

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და „თალიბანს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, დგას თუ არა დღის წესრიგში ავღანეთიდან საქართველოს ჯარის გაყვანა?!

როგორც „2020NEWS“-ს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, იქიდან გამომდინარე, რომ შეთანხმება ნატოსა და „თალიბანს“ შორის არ შემდგარა, საქართველო როგორც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მჭიდრო პარტნიორი ქვეყანა, ავღანეთს არ დატოვებს და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში საკუთარი მისიის შესრულებას განაგრძობს.

„საქართველო, როგორც ნატოს კრიტიკული პარტნიორი და ალიანსის მომავალი წევრი, რჩება საერთო უსაფრთხოების პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული. მივესალმებით „თალიბანსა“ და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას. ჩვენის მხრივ, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ვაგრძელებთ მტკიცე მხარდაჭერის მისიაში საერთაშორისო პარტნიორების გვერდით საკუთარ კონტრიბუციას საერთაშორისო უსაფრთოების უზრუნველყოფისთვის. ამასთან, ვიმყოფებით აქტიური კონსულტაციების ფაზაში სტრატეგიულ პარტნიორებთან მისიაში ჩართულობის ფორმებსა და სამომავლო გეგმებზე“, — განაცხადეს თავდაცვის სამინისტროში.

„კრწანისში“ ახალი სამეთაურო-საშტაბო წვრთნების ცენტრის მშენებლობა დაიწო

წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისში“, JTEC-ის ტერიტორიაზე ახალი სამეთაურო-საშტაბო ცენტრის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2021 წელს დასრულდება.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამეთაურო-საშტაბო წვრთნების ცენტრის (CSTC) შენობის საძირკველში დროის კაფსულა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან ერთად ჩადო. კაფსულაში სიმბოლურად ცენტრის მშენებლობის დაწყების შესახებ დოკუმენტი მოთავსდა, რომელსაც ხელი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ზაზა ჩხაიძემ, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) მეთაურმა, პოლკოვნიკმა გიორგი დუმბაძემ, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალმა, პოლკოვნიკმა გრიგოლ ჭელიძემ და ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალმა, პოლკოვნიკმა იოსებ ლოლაძემ მოაწერეს.

სამეთაურო-საშტაბო წვრთნების ცენტრი საერთაშორისო და ეროვნული დონის მნიშვნელოვან საშტაბო სწავლებებს უმასპინძლებს. 2022 წელს ცენტრში ნატო-საქართველოს სწავლება გაიმართება.

უცხოური ინვესტიციები საქართველოში წინა წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა!

სტატისტიკის ეროვნული სამსახური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის პარამეტრებს აქვეყნებს. წინასწარი შეფასებით, საქართველოში, 2019 წლის მეოთხე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაჩვენებელი ორჯერ გაიზარდა. თანხამ 357.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ზრდის მაჩვენებელი სააქციო კაპიტალის, რეინვესტიციისა და სავალო ვალდებულებების ზრდითაა განპირობებული. გოგიტა თოდრაძის თქმით, ძირითად სამ ინვესტორ ქვეყანას შორის საქართველოში გაერთიანებული სამეფო, თურქეთი და ნიდერლანდები გამოიკვეთა. 2019 წლის წლიური მაჩვენებელი, წინასწარი შეფასებით, 0.2 პროცენტითაა გაზრდილი.

თბილისის მერია გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებს დააფინანსებს

თბილისის მერიამ ახალი პროგრამის — „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ ფარგლებში, შესაბამისი საბუთების მიღება დაიწყო. პროგრამა გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ჩათვლით პირებისთვის, სამკურნალო ძვირადღირებული მედიკამენტების „ოკრელიზუმაბისა“ და „ფინგოლიმოდის“ დაფინანსებას ითვალისწინებს.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი სრულად დაუფინანსდებათ, ხოლო ყველა სხვა პირს — 80%-ით. დედაქალაქის მერია მიმდინარე წელს, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 180 ბენეფიციარის დაფინანსებას გეგმავს.

პროგრამაში ჩასართავად და მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებად, მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს თბილისის მერიას. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

1. პროგრამით მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა/პასპორტი/იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ქსეროასლი;

2. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);

3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა, რომელიც არაუმეტეს ორი თვით ადრე იქნება გაცემული (ცნობა უნდა მოიცავდეს რადიოლოგის დასკვნას, მაკდონალდის სადიაგნოზო კრიტერიუმების შესაბამისად მკურნალი ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზს, სადაც კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალით შეფასებული მდგომარეობა არის 0-დან 6 ქულის ჩათვლით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თავზურგტვინის სითხის ანალიზის შედეგებს);

4. განცხადებით მიმართვამდე არაუმეტეს ერთი თვით ადრე გაცემული კონსილიუმის დასკვნა, რომელიც შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ სამი ლიცენზირებული ექიმის, მ.შ. ფორმა №IV-100/ა-ს გამცემი ექიმის ხელმოწერით და ბეჭდით იქნება დამოწმებული;

5. კალკულაცია მიმწოდებელი ორგანიზაციიდან, რომელსაც მოქალაქე თავად ირჩევს — შპს „პსპ ფარმა“; სს „გეფა“ და შპს „ავერსი ფარმა“.

მოქალაქე საგარანტიო წერილს მერიაში დოკუმენტების შემოტანიდან რამდენიმე დღეში მიიღებს. წლიური მატერიალიზებული ვაუჩერის ღირებულება 24 ათას ლარამდეა.

ახალციხეში 200 ოჯახისთვის წყალარინების სისტემის მოწყობა სრულდება



გაერთიანებული **წყალმომარაგების კომპანია რეგიონების მასშტაბით წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. ამ ეტაპზე ქალაქ ახალციხეში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.**

უწყების ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში ახალციხელის, სამსონიძის, ბაღინაშვილისა და ჭყონდიდელის ქუჩებზე ქსელის რეაბილიტაცია აპრილში დასრულდება. აღნიშნულ ქუჩებზე წყალარინების ცენტრალური სისტემა ამ დრომდე არ არსებობდა.

სამუშაოების დასრულების შედეგად, არსებული პრობლემები საბოლოოდ აღმოიფხვრება და 200 ოჯახი წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით შეძლებს სარგებლობას. სამუშაოებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 1 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

ინტერნეტბანკიდან თანხის მიმთვისებლები დაიჭირეს!

შინაგან **საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და ბათუმში, კიბერდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებულებმა 13 სხვადასხვა მოქალაქის პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენებით, უნებართვოდ შეაღწიეს მათ კუთვნილ ინტერნეტ-ბანკისა და ონლაინ-აზარტული თამაშების ელექტრონულ ანგარიშებზე, რის შემდეგაც, ამ სისტემის მეშვეობით, სხვადასხვა ხერხით დაეუფლნენ, ჯამში, 42 000 ლარს.

„სამართალდამცველებმა 1989 წელს დაბადებული ორი პირი — ე.ვ. და დ.ჭ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ორ მოქალაქეს მოტყუებით გამოართვეს პერსონალური მონაცემები და საბანკო პლასტიკური ბარათების ნომრები, რომელთა გამოყენებითაც მათ სახელზე ერთ-ერთი ბანკიდან სესხები აიღეს, შემდეგ აღნიშნული თანხები სხვა ანგარიშებზე გადარიცხეს და ფულს უკანონოდ დაეუფლნენ.

დაკავებულების მიერ თაღლითური გზით, მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული თანხა, ჯამში, 20 000 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით, კიდევ ორი პირი — 1999 წელს დაბადებული — გ.ბ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ხოლო 1996 წელს დაბადებული რ.კ. — ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დააკავეს“, — აცხადებენ შსს-ში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა — რ.კ-მ, 2019 წლის 4 დეკემბრიდან 2020 წლის 21 იანვრის ჩათვლით, ბათუმში მდებარე ინტერნეტ-კაფეებში არსებული კომპიუტერული ტექნიკით ისარგებლა, სხვადასხვა დროს მოპოვებული, 11 მოქალაქის კუთვნილი, ონლაინ ტოტალიზატორების მომხმარებლის სახელებისა და პაროლების გამოყენებით, ონლაინ-ტოტალიზატორების ანგარიშებზე დაფიქსირებული პლასტიკური ბარათების ანგარიშებიდან ფული აზარტული თამაშების ინტერნეტსაიტების ანგარიშებზე გადმოიტანა, შემდეგ აღნიშნული თანხები გ.ბ.-ს მიერ მიწოდებული პლასტიკური ბარათების ანგარიშებზე ჩარიცხა. ბრალდებულებმა ჩარიცხული თანხები ბანკომატებიდან გაანაღდეს და ნაქურდალი ფული გაინაწილეს.

„დაკავებულებმა დანაშაულებრივი გზით, ჯამში, 22 000 ლარს დაეუფლნენ. სამართალდამცველებმა რ.კ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, მის მიერ უკანონოდ მოპოვებული ონლაინ ტოტალიზატორების 1000-მდე მომხმარებლის სახელი და პაროლი, ასევე, სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გრძელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად სხვა შესაძლო დაზარალებული პირების გამოკვეთა-დადგენის მიზნით.

საკუთარ ბოღმაში ჩახრჩობის წინ...

რვა მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, ხელისუფლებას, ე.წ. „ოპოზიციასა“ და ნამდვილ ოპოზიციას (რომელიც მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალით არის წარმოდგენილი) შორის შედგა შეთანხმება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წესთან დაკავშირებით.

ამ შეთანხმების ტექსტზე ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგანაც ეს დოკუმენტი გასაჯაროვდა და, ფაქტობრივად, ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება, გაეცნოს და საკუთარი დასკვნები გააკეთოს.

ამ წერილში ყურადღება მინდა, გავამახვილო რეალურ პოლიტიკასთან და ქართველ ამომრჩეველთან იმ ე.წ. „ოპოზიციის“ დამოკიდებულებაზე, რომელიც დიდი ხანია, გაცდა ეთიკის, წესიერებისა და ნორმალური ურთიერთობის საზღვრებს და ტყუილებითა და ბოღმით ცდილობს ჩვენს ჩათრევას სხვადასხვა ტიპის წვრილმან პროცესებსა და იმ მარაზმში, რომელიც სრულიად, შესაძლებელია უმართავი გახდეს.

პირველი ტყუილები იმ ე.წ. „ოპოზიციონერებმა“ აშშ-ის ელჩის, ქალბატონ დეგნანის რეზიდენციასთან შეხვედრის დასრულებისთანავე გადმოგვაფრქვიეს და სხვადასხვა მედიასაშუალებებით კორონავირუსივით გაავრცელეს!

სააკაშვილი — ხალხის დიდ ნაწილს უნდა, ჩავერთო პოლიტიკაში, ამის საშუალებაც უნდა მომეცეს! ივანიშვილის სისტემა ქართველი ხალხის წინააღმდეგობის და უცხოელების გამო დატორტმანდა და ჩვენ ის ბოლომდე უნდა წავაქციოთ.

ვაშაძე — ვიბრძოლეთ და მივიღეთ ის, რომ პოლტპატიმრების საკითხი გადაწყდა, ეს ჩვენთვის აბსოლუტურად პრინციპული იყო.

ბოკერია — საარჩევნო სისტემასა და პოლიტიკურ პატიმრებზე შეთანხმება შედგა.

ნინო ბურჯანაძე — საქართველოს პრეზიდენტი გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს შეწყალების პროცესში.

არა რა, სამი ვარიანტია:

1. სადღაც სხვა მოლაპარაკებაზე იყვნენ და იქ მიაღწიეს რაღაც შეთანხმებას.
2. ვერ გაიგეს, რაზე შეთანხმდნენ.
3. მაგარი „ნაგლები“ არიან.

ამ „ნაგლი კორონების“ საპირწონედ ორ განცხადებას გავავრცელებ:

ირმა ინაშვილი: „რაც შეეხება პოლიტპატიმრების საკითხს, მე მთელი ამ წლების განმავლობაში ვითხოვ დამნაშავეების დასჯას, სააკაშვილის და ბოკერიას გუნდიდან, მმართველი გუნდიდან, ვინც 2004-2011 წლებში მართავდა ქვეყანას და ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის არაერთი დანაშაული. ჩემთვის ის ადამიანები, რომლებიც, ვთქვათ, იგივე ბოკერიას და სააკაშვილის გუნდის წევრებისთვის პოლიტიკური პატიმრები არიან, არ არიან პოლიტპატიმრები, თუმცა დასახელებულ პირებს შორის გრადაცია არის, მაგალითად, თამლიანზე, ის და უგულავა ჩემთვის ერთი არაა. ჩემი მხრიდან ე.წ. პოლიტპატიმრები პირობა არ ყოფილა, პირიქით, ჩვენ ვითხოვთ დამნაშავეების დასჯას“.

არჩილ თალაკვაძე: „პოლიტიკური პატიმარი — ასეთი ჩანაწერი ჩვენს შეთანხმებაში არ არსებობს.

ნამდვილი ოპოზიცია ამბობს, პოლიტპატიმრები არაო! ხელისუფლება ამბობს — არაო! და მაქარაშვილი, სუკის „სტარში ლეიტენანტი“ და ბოკერია რას იტყვიან, მაგრად არ მაინტერესებს.

რაც შეეხება იმ ერთპროცენტიან ბარიერს, აქაც ძალიან მარტივადაა საქმე.

ეს „ხბოს აღტყინება“ საკმაოდ საინტერესო და სასაცილო ძვრებს გამოიწვევს „ქართულ პოლიტიკურ სპექტრში“.

დავიწყებ „თვითონ-თვითონ“ ტიპებიდან.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ისინი დაიწყებენ სადღაც ბლოკში შეტენვას, იმიტომ, რომ იმ ბლოკის გასვლის შემთხვევაში ბიუჯეტიდან რაღაც „მაყუთი“ (სწორედაც რომ „მაყუთი“ და არა დაფინანსება) მიიღონ, რაც, ფაქტობრივად, აბსურდია, თუნდაც იმიტომ, რომ „დომინანტი პარტიების“ მეორე დონის ტიპები (აი, ისეთები „გალსტუკებით“ რომ დადიან და სახლში ამბობენ, სამსახურში მივდივართო) არ დაუშვებენ რომელიმე მათგანის სიაში ჩაწერას (თავისას კარგავენ — ამდენი ხანი გელოდით, ახლა 1% გვაქვს და მეც მინდა დეპუტატობაო).

რაც შეეხება ნათელაშვილს და ბურჯანაძეს, მაგათაც ტყუილად აქვთ იმედი.

„ლელო“ და „გირჩი“ სწორედაც მაგათ ხმებზე ნადირობს. ამომრჩევლის იმედს — ნათელაშვილი სოციალურ პრობლემებს მოგვიგვარებსო, ხაზარაძის „მაყუთიდან“ გამორჩენის იმედი შეჭამს. ბურჯანაძეს კი ფაქტობრივად არავინ ჰყავს, ვინც რეგიონებს, ან თუნდაც თბილისს მიხედავს. ბურჯანაძე „გირჩთანაც“ კი წააგებს (ჰოი, ქართული პოლიტიკის ჩახლართულო და გაუთვლელო საოცრებავ).

რაც შეეხებათ ნაცებს და ევრონაცებს, ისინი იჩალიჩებენ, რომ მიიღონ რაც შეიძლება მეტი ხმა, ამიტომ ამ „ოპოზიციურ გაერთიანებას“ „ცალი ფეხის ზემოთ დაიკიდებენ“. ის უბედურები კი დაიწყებენ ხვეწნას, ბრიფინგებს და მსგავს სისულელეებს — ფული მოგვეცით და ჩვენს ხალხს დაგახმართო, რაც სისულელეა, რადგანაც ნაცებმა (ორივემ) კარგად იციან, რა „ხალხიც“ ჰყავთ.

მოკლედ რომ ვთქვა, დღევანდელი მოცემულობით, რომელიც ერთი მხრივ ამომრჩეველში ვითომდა „ოპოზიციის გამარჯვებას“ აჩვენებს, სრული ფარსია.

პოლიტიკურ ველზე, ჩემი აზრით, რეალურად დარჩა ორი პოლიტიკური ძალა: „ოცნება“ და „პატრიოტთა ალიანსი“.

„ოცნებამ“ მიიღო დრო, მიხედოს ეკონომიკურ თუ სხვა პროექტებს, პატრიოტები კი ჩვეულ, მშვიდ სტილში გაგრძელებენ პოლიტიკურ სივრცეში მუშაობას და იმ არეულობის ფონზე, რაც იმ ე.წ. ოპოზიციონერებში განვითარდება, ელექტორატში კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მოიპოვებენ.

სამწუხაროდ, ჩვენი მედიის უდიდესი ნაწილი გადასულია ვიღაც ურეიტინგო და უსახური პოლიტიკანების „აზრების“ გაშუქებაზე, რომ შეარყიონ პოლიტიკური პროცესების რეალური აღქმა, დაამცირონ და უგულებელყონ ის ხალხი, ვინც ქვეყანაზე და მის მომავალზე ფიქრობს.

„მედია უნდა ახდენდეს თვითრეგულაციას ეთიკის კოდექსით“ — კელი დეგნანი.

აბსოლუტურად ვეთანხმები ქალბატონ ელჩს, მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია: თვითრეგულაცია და ეთიკის კოდექსი, მხოლოდ ინტელექტუალური ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი. ინტელექტი სულაც არ ნიშნავს სამუშაო ოთახის კედლებზე მიმაგრებულ სერტიფიკატებს, ან წაკითხული წიგნების რაოდენობას (რისი მაგალითებიც, სამწუხაროდ, ბევრი გვაქვს).

ინტელექტი ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა და რადგანაც დღევანდელ საქართველოში ადამიანის მიმართ დამოკიდებულება განისაზღვრება არა მისი რეალური შესაძლებლობებით, ცოდნით ან გამოცდილებით, არამედ ე.წ. CV-ში ჩაწერილი რაღაც მონაცემებით, ყოველთვის ასეთი სიტუაცია იქნება.

რა ეთიკაზე, ან თვითრეგულაციაზე უნდა ველაპარაკოთ ე.წ. ტელეკომპანია „მთავარს“?

როცა ვუყურებ, თუ როგორი გავეშებით ებრძვიან ეს გვარამიები, ჯულიეტოვნები, მაქარაშვილები და მათი მსგავსი უჯიშო, უსქესო, ურწმუნო, მდაბიო ნაცები ყოველგვარ კაცურს, ნიჭიერს, ლამაზს, ინტელექტუალურს, წარსულს და მომავალს, მახსენდება ნაწყვეტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“:

„პოლტავის თუ ვორონეჟის გუბერნიაში რევოლუცია მძვინვარებდა. მთელი სოფელი, განურჩევლად ყველა, დიდი და პატარა, კაცი და ქალი, აღმდგარიყო და ჯოხებით, კომბლებით, ცულებით, ბარებით, იარაღით ერთი მემამულის სახლს თავს დასხმოდა.

გაბორკტებული გლეხები სასახლეში შეიჭრნენ და რბევა დაიწყეს. რაც ხელში ხვდებოდათ, ყველაფერს ანადგურებდნენ. ყოველი ნივთი მათს მრისხანებას აღვიძებდა. უცნაურია, მხოლოდ ცოტამ თუ აიღო ძვირფასი ნივთები თავისთვის; ცოფმორეულნი განადგურების ჟინს შეეპყრო უპირატესად. გლეხების ერთი ჯგუფი თავლისკენ გაემართა. ოცამდე ცხენი გამოიყვანეს; მათგან ერთი განსკუთრებით გამოირჩეოდა: მთლად თეთრი, ლაქების გარეშე, კოხტა, ნატიფძარღვიანი. მისი ყოველი ასო მიწის სიხარული იყო, ყოველი კუნთი — განხორციელებული მზის ტალღა, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. გლეხებს თვალები აემღვრათ, ერთხანს გაშეშდნენ მისი მშვენებით. ერთმა აღვირით თავისკენ მოქაჩა ცხენი. ცხენი ყალყზე შეხვდა ხეპრულ საქციელს. ბრბო ავისმომასწავებლად გაირინდა, უეცრად ვიღაცამ დაიყვირა გახელებით „ჯიშიანია!“. მესამემ, მეოთხემ, მეხუთემ გაიმეორეს ეს სიტყვა. ბოლოს მთელი მასა უთავბოლოდ ღრიალებდა: „ჯიშიანია, ჯიშიანი!“ შური და რისხვა გამოყმუოდა ამ შეძახილში. აბობოქრებული მასა წინ გაიჭრა, თუმცა არ იცოდა, რა სურდა. ხელები ამოძრავდნენ, ბაგეებს მიეყინა შეძახილი, ტუჩების კუთხეში დუჟი აქაფდა, თითქო ბრბო რაღაცას ელისო. როყიოდ დაიყვირა ერთმა: „ტყავი გავაძროთ წყეულ პირუტყვს.“ პირველს მეორე აჰყვა. „ტყავი გავაძროთ!“

მრავალი ხმა ღრიალებდა, ერთმანეთში არეული. ბოლოს ყველამ ერთად დაიყვირა: „ტყავი გავაძროთ!“ ბრბო ყმუოდა; შიში და სიძულვილი მოისმოდა ამ გაშმაგებული ღრიანცელიდან. ელვის სისწრაფით გააჩინეს დანები, ცელები, ნამგლები. ხელები თითქოს სიგიჟეში იმყოფებოდნენ. „ჯიშიანი, ჯიშიანი!“ თავიდან აყმუვლდა ბრბო, აყმუვლდა ისე ყურისწაღებამდე, თითქოს რაღაცისა ეშინია და ამ უცხო ყმუილში გამოგუდვას ლამობსო“.

ПОЛТАВИС ТУ ВОРОНЕЖИС ГУБЕРНИАШИ АГЖАНЕБУЛИ БРБОС ШТАМОМАВЛЕБО — АРАФЕРИ ГАМОГИВАТ DA ZUSTAD ISE CHAIXRCHOBIT SAKUTAR BOLMASA DA DUJSHI, ROGORC ISINI AM ERTI SAUKUNIS WINAT.

KONKRETULAD GVARAMIAS MISAMARTITI RAIMECS DAWERAS AZRI ARA AQVS.

AZRI ARA AQVS IM MARTIVI MIZEZIS GAMO, ROM MIS TAVSHI MOTAVSEBULI BOLMIS YAVISFERI MASA ARANAIR MKURNALOBAS AR EQVEMDEBAREBA.

მინდა, ვკითხო ბიზნესის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც რეკლამა მიაქვთ მასთან და ამ ბოროტების ბუდის არსებობას ხელს უწყობენ: — პატივცემულო ბიზნესმენებო, ნუთუ გგონიათ, რომ მაყურებელი, რომელიც გვარამიას გამოსვლების, საქართველოში კორონავირუსის აღმოჩენის ფაქტზე, პაატა იაკობაშვილის აღფრთოვანების ნახვის შემდეგ თქვენი პროდუქციის რეკლამას ნახავს, ქვეცნობიერში როგორ იქნება ეს რეკლამა შეფუთული და მისი შეძენის სურვილი თუ გაუჩნდება?

თქვენი მარკეტინგი და პიარი რა ვთქვი!

ბოლოს კი ვიტყვი: ეს ყველაფერი, რაც დღეს ხდება, ხელისუფლების იმ დიდი მიმტევებლური პოლიტიკის ბრალია, რასაც კოჰაბიტაცია ჰქვია და რომელმაც ქვეყანა არა ნორმალური განვითარების გზაზე დააყენა, არამედ ხელი შეუწყო მოსახლეობის გაღიზიანებას, დაუსჯელობის სინდრომის გამძაფრებას და აშკარა დამნაშავეების „გაბლატავებას“.

თუ ხელისუფლება ამ მოკლე დროში არ შეცვლის თავის „ლოიალურ“ და „მორჩილ“ დამოკიდებულებას ქართულ პოლიტიკაში ჩაბუდებული „კორონების“ მიმართ და არ გამოიყენებენ შესაბამის ანტისეპტიკებს, არჩევნების დროს ხალხის რეაქცია მათი მხრიდან აბსოლუტურად გაუთვლელი იქნება და, სავარაუდოდ, ისეთ დეზინფექციას მიიღებენ, რომელიც საბოლოოდ დაამარცხებს პოლიტიკური ვირუსის გავრცელებას.

გია გაბრიჭიძე

რომში დიდი იტალიელი ჰუმანისტის, თაგასტის ეპისკოპოსის ანჯელო როკას (1546-1620) მიერ დაარსებულ, მისივე სახელობის ბიბლიოთეკის ცნობილი იტალიელი არქიტექტორის ლუიჯი ვანვიტელოს (1700-1773) დაპროექტებულ სალონში 2020 წლის 27 თებერვალს გაიმართა იტალიის კულტურის ძეგლთა, კულტურულ ღონისძიებათა და ტურიზმის სამინისტროს მიერ 2019 წლის ლაურეატთა მხატვრულ თარგმანში ტრადიციული ეროვნული პრემიებით დაჯილდოების ცერემონიალი.

მხატვრულ თარგმანში ეროვნული პრემიები 1988 წლის 4 თებერვალს დაარსდა იმ მოღვაწეთა განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად, რომლებმაც ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანეს იტალიური ლიტერატურის განვითარებაში. პრემიები ორი სახისაა — **დიდი** და **სპეციალური**. სამინისტროს დეკრეტის თანახმად, დიდი პრემია გაიცემა ხანგრძლივი მთარგმნელობითი მოღვაწეობისას გამორჩეული დამსახურების, ხოლო — სპეციალური პრემია — მთარგმნელობით სფეროში კულტურულ, ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ მოღვაწეობაში გამოჩენილი, ასევე, განსაკუთრებული დამსახურების აღიარების აღსანიშნავად.

დიდი პრემიები გადაეცემა ოთხ ნომინანტს: იტალიურ ენაზე და იტალიურიდან სხვა ენაზე თითო-თითო მთარგმნელს, ასევე, თითო-თითო იტალიურ და უცხოურ გამომცემლობას. სპეციალური პრემია გადაეცემა ოთხ მთარგმნელს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს იტალიური ლიტერატურის პოპულარიზაციასა და უცხო ენებიდან თარგმნილი ნაწარმოებებით იტალიური მწერლობის გამდიდრებაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მეტად საპატიო პრემიის ლაურეატთა შორისაა ჩვენი თანამემამულე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ'ორიენტალე" აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კათედრის პროფესორი **გაგა შურღაია**.



გაგა შურღაია – მწერალი, მთარგმნელი, მოაზროვნე, დიდი მეცნიერი

იტალიის ეროვნული პრემიის ქართველი ლაურეატი

მარცხნიდან: კონსტანტინე სურგულაძე, საქართველოს ელჩი იტალიაში; გაგა შურღაია; ბარბარა როკეტი, რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორი; მიქელე ბერნარდინი, ნეაპოლის ლ'ორიენტალეს უნივერსიტეტის პროფესორი.

ეროვნული პრემიების ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალი იტალიის კულტურის ძეგლთა, კულტურულ ღონისძიებათა და ტურიზმის სამინისტროს ბიბლიოთეკებისა და საავტორო უფლებათა დეპარტამენტის გენერალური დირექტორის, დოქტორ **პაოლა პასარელის** სახელით გახსნა ამავე დეპარტამენტის ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის სექტორის გამგემ, დოქტორმა **ანჯელა ბენინტენდემ**, რომელმაც საზოგადოებას გააცნო მხატვრული თარგმანის სფეროში ეროვნული პრემიების დაარსების ისტორია და მისი მნიშვნელობა იტალიური კულტურის განვითარებისათვის და სიტყვა გადასცა პრემიათა მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარეს, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ'ორიენტალე" პროფესორს **მიქელე ბერნარდინის**.

პროფესორმა ბერნარდინიმ საგანგებოდ განმარტა პრემიებზე წარმოდგენილი ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები და დასძინა, რომ წლეულს პრემიების მოსაპოვებლად ასზე მეტი მთარგმნელის მაღალკვალიფიციური ნაშრომები იქნა წარმოდგენილი. დიდი პრემიებით დაჯილდოვდნენ: პეკინის უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტის იტალიანისტიკის კათედრის გამგე, იტალიის რესპუბლიკის კავალერი, პროფესორი **ვენ ჟენგი** — იტალიური ლიტერატურის შესწავლასა და ჩინურ ენაზე იტალიური მხატვრული ნაწარმოებების თარგმნაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის; იტალიურ ენაზე ინგლისური პოეზიის ცნობილი მთარგმნელი, პროფესორი **ჯორჯია გრაციანი სენსი** — ქეთლინ ჯეიმისა და პატრიკ მაკ გინესის ნაწარმოებთა თარგმნისათვის; ესპანური გამომცემლობა „**პერიფერიკა**" — ჯოვანი ვერგას, ჯანი ჩელატის, ლორენცა მაცეტის, უგო კორნიას, ელვირა მანკუზოს, ჯუზეპე სკარაფიასა და ეუჯენიო ბარონჩელის თხზულებათა ესპანურ ენაზე მაღალმხატვრული თარგმანების გამოცემისათვის; იტალიური გამომცემლობა „**ბომპიანი-ჯუსტი**" — სერიალების „ჩვენი დროისათვის საჭირო წიგნები", „ლიტერატურული სერიალი", „ახალი იდეები" და „აწმყო დრო" და ლიტერატურული ალმანახების დასტამბვით იტალიური სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

სპეციალური პრემიები გადაეცათ: ტაილანდში იტალიური ლიტერატურის ჭეშმარიტ „ელჩს" **ნუნტავან ჩანპრასერტს** — მილენა აგუსის, ჯორჯო ბასანის, იტალო კალვინოს, უმბერტო ეკოს, ელენა ფერანტეს, დაჩა მარაინის, მარგარეტ მაცანტინის, ლუიჯი პირანდელოსა და ანტონიო ტანბუკის თხზულებათა ტაილანდურ ენაზე თარგმნისთვის; ჩვენს თანამემამულეს, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **გაგა შურღაიას** — იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამების" ქართულიდან იტალიურ ენაზე და დინო ბუცატის „მოთხრობების" იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმნისა და ვრცელი კომენტარებით გამოცემისათვის; კირილესა და მეთოდეს სახელობის სკოპიეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **რადიცა ნიკოლოვსკას** — ლუიჯი პირანდელოს, დინო ბუცატისა და იტალო კალვინოს ნაწარმოებების მაკედონიურ ენაზე თარგმნისთვის; ცნობილ ბრაზილიელ მთარგმნელს **მაურიჩო სანტანა დიასს** — ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის" პორტუგალიურ ენაზე თარგმნისთვის.

პრემიების ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალს ტრადიციულად წინ უძღვის შემფასებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის სამეცნიერო მოხსენება იტალიური კულტურის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხზე. წლეულს ეს პატივი წილად ხვდა რომის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლა საპიენცას" პროფესორს **ბარბარა რონკეტის**, რომელმაც 2021 წ-ს დანტე ალიგიერის (1265-1321) გარდაცვალების 700 წლისთავს მიუძღვნა მოხსენება: „დანტე და XX ს-ის რუსეთი: შენიშვნები და ვარიაციები".

კომისიის წევრებმა ეროვნული პრემიების ლაურეატებს გადასცეს იტალიის კულტურის ძეგლთა, კულტურულ ღონისძიებათა და ტურიზმის მინისტრის **დარიო ფრანჩესკინის** მიერ ხელმოწერილი ეტრატები (მინისტრის დეკრეტები) და საზოგადოებას გააცნეს დასკვნები, რის საფუძველზეც კომისიამ ისინი დააჯილდოვა.

პროფესორ გაგა შურღაიას პრემია და ეტრატი გადასცა პროფესორმა ბარბარა რონკეტიმ, რომელმაც აღნიშნა: **„მეცნიერმა, მთარგმნელმა, ფილოლოგმა, მწერალმა ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ'ორიენტალე" პროფესორმა გაგა შურღაიამ პრემიაზე წარადგინა ორი ნაშრომი:** La spiritualita georgiana: Martirio di Abo, santro e beato martire di Cristo di loane Sabanisze **(ქართული სულიერი კულტურა: იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება") და** დინო ბუცატის **„მოთხრობები", რომლებიც მკაფიო გამოხატულებაა მისი სამეცნიერო პროფილისა და ქართულ და იტალიურ ენებში რაფინირებული კომპეტენტურობისა. ეს წიგნები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან ენობრივი თვალსაზრისით: ერთი თარგმანია ძველი ქართულიდან იტალიურ ენაზე, ხოლო მეორე — იტალიურიდან ქართულზე. ისინი ძალიან შორს დგანან ერთმანეთისგან როგორც ჟანრობრივი და ტექსტობრივი ტრადიციის, ასევე, მათი თარგმნის თავისებურებისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისითაც.**

სწორედ ეს ერთმანეთისაგან მკვეთრი განსხვავებულობა მოწმობს მთარგმნელის იშვიათ მგრძნობელობასა და ყურადღებაზე ენისა და, საზოგადოდ, მხატვრული სტილის მიმართ. მდიდარი და უაღრესად ფართო დიაპაზონის მთარგმნელობითი მოღვაწეობისას გაგა შურღაიამ თარგმნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, ამავე დროს, შექმნა უაღრესად ღირებული მხატვრული თარგმანები სხვადასხვა ენიდან (იტალიურიდან, რუსულიდან და ფრანგულიდან — ქართულად, ხოლო ქართულიდან — იტალიურად). იგი თავად გახლავთ მწერალი. ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობისას მან ნათლად გამოავლინა წერის მრავალწახნაგოვანი უნარი როგორც საკუთარი ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის, ისე სხვა ენებიდან თხზულებების თარგმნისას, რომლებიც კომპოზიციური, ლიტერატურული კრიტიკისა და ენობრივ-მთარგმნელობითი თვალსაზრისით უაღრესად ფასეულია და მთელი სიცხადით წარმოგვიჩენს გაგა შურღაიას როგორც რაფინირებულ მთარგმნელს, მოაზროვნეს, დიდ მეცნიერს".

პროფესორმა გაგა შურღაიამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს: დოქტორ **პაოლა პასარელის**, პროფესორ **მიქელე ბერნარდინის**, კომისიის წევრებს მისი ნაშრომების მაღალი შეფასებისა და ეროვნული პრემიის მინიჭებისათვის და დასძინა:

„დიდ პატივად მივიჩნევ მხატვრულ თარგმანში ჩემ მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის ესოდენ დიდად დაფასებას. თარგმანი, მთარგმნელობა ყოველთვის მიმაჩნდა კულტურათა შორის დიალოგის აუცილებელ კომპონენტად, ბრძენ და პირუთვნელ შუამავლად, კაცობრიობის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამდიდრების მაცოცხლებელ წყაროდ და, ამდენად, საერთაშორისო კონტექსტში ფუნდამენტური მნიშვნელობის ინტელექტუალურ და პრაქტიკულ მოღვაწეობად.

თარგმანი არ ნიშნავს ერთი ენიდან, ან ერთი კულტურიდან მეორეში ცნებების მექანიკურ გადატანას. იგი გათავისების, ხელახლა შესაქმის უმძიმესი ჯაფაა, დაწყებული ისტორიული მოვლენებისა თუ ფაქტების ხელახალი წაკითხვა-გააზრებიდან, ლეგენდებისა და ფოლკლორის დამუშავებით დამთავრებული. იგი მწერლის მხატვრულ ქმნილებას აკავშირებს მთარგმნელის სპეციფიკურ მგრძნობიარობასთან. მთარგმნელი ცდილობს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ენობრივი რესურსი, რათა ახალი სიცოცხლე შთაბეროს მწერლის მთხრობელ ხმას, გაათავისუფლოს იგი დროისა და მოდის გარდაუვალი გარდამავლობისაგან და უკვდავება მიანიჭოს მას.

ჩემი მთარგმნელობითი საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უფრო პირადული ვალის მოხდაა ჩვენს კულტურათა შორის ურთიერთგაცნობისა და დიალოგისათვის ხელშესაწყობად, რათა ორივე კულტურა გამდიდრდეს და ისაზრდოოს იმ კულტურული საგანძურით, რომელიც ერთმანეთთან გვაკავშირებს და გამოხატავს იმ ტრადიციებსა და მგრძნობიარობას, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ერთი მეორეთი შევივსოთ. ორმხრივი გამდიდრების ამ კანონზომიერებას გვიკარნახობს იმის გაცნობიერება, რომ უაღრესად მრავალფეროვანია, მრავალხმიანია კაცობრიობის ინტელექტუალური მემკვიდრეობა.

ნება მიბოძეთ, დავიმოწმო ყველა ჩვენგანისათვის კარგად ცნობილი მწერლის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის ერნესტო ფერეროს სიტყვები, რომლებიც წინ უძღვის ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ კრებულს „ეჭვის ხელოვნება: თორმეტი ესე თარგმანის შესახებ": „წინამდებარე წიგნის გვერდებზე არაერთხელ შევხვდებით ბაბილონის კოშკის დანგრევის შემდეგ ფაფარაშლილი ქაოსის სახეს. ერთი შეხედვით, მთარგმნელის მიზანია, მისაღებ და გასაზიარებელ წესრიგამდე მიიყვანოს კოშკის იავარქმნის შემდეგ წარმოშობილი უწესრიგობა. მაგრამ რა არის ბაბილონი: კრულვა, თავდაპირველი ცოდვა, რომელიც უნდა გამოისყიდო, თუ, პირიქით, სიმდიდრე, მრავალფეროვნება? ყველა დროის ადამიანებმა იგი კრულვად შერაცხეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ბაბილონი არ არის კრულვა. პირიქით, პლურალიზმის, განსხვავებულის, მრავალფეროვნების ტრიუმფია. საერთო სახლია ენობრივი ბიოგანსხვავებულობისა, თითოეული ენის მომხიბვლელობისა, ის განსაკუთრებული რესურსია, რომელიც ადამიანებად გვაქცევს. მთარგმნელი არის მცველი, გუშაგი, რესტავრატორი აუწყავი სიმდიდრის ძვირფასი მადნისა".

კიდევ ერთხელ ვუხდი გულითად მადლობას იტალიის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებმაც დღევანდელი მშვენიერი, საზეიმო შეკრებით ნათელი მოჰფინეს მთარგმნელის მარტოსულ და ჩრდილით მოცულ საქმიანობას. ამასთანავე, ჩემი გამოსვლა, მინდა, დავასრულო სერ ჩარლზ სპენსერ ჩაპლინის მიერ 1972 წ-ს მისთვის პრემიის მინიჭებისას წარმოთქმული სიტყვებით: **„შემიძლია, მხოლოდ მადლობა გითხრათ იმ დიდი პატივისათვის, აქ რომ მომიწვიეთ. გმადლობთ, არაჩვეულებრივო და ტკბილო ადამიანებო!"**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ იტალიის კულტურის, მწერლობის, ხელოვნების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი, ბატონი **კონსტანტინე სურგულაძე** და საქართველოს ელჩი წმინდა საყდართან, ქალბატონი **ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი**. დამშვიდობებისას პროფესორმა **ბარბარა რონკეტიმ** ბატონ **კონსტანტინე სურგულაძეს** სხვათა შორის უთხრა, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ბატონ გაგას მხატვრული ნაწარმოებების იტალიურ ენაზე თარგმნაზეო.

მადლობა იტალიას, მის კეთილშობილ ხალხს ჩვენი თანამემამულის მოკრძალებული ღვაწლის ესოდენ დიდად დაფასებისთვის.

სოსო დანელია,
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი, მე-8 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, იტალიასა და წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოების ყოფილი დესპანი

მეშველიანი ბათუმის ახალ ტერმინალს მტრად მოევლინა თუ მოყვრად?!

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ბათუმში კარბამიდის ტერმინალის მშენებლობა დაიწყო.

ტერმინალის პროექტი უმსხვილესი ამერიკული ტრეიდული კომპანია „ტრამოს“ პირდაპირი ინვესტიციით ხორციელდება.

„ტრამოს“ ინვესტიციის მნიშვნელობაზე არაერთხელ ისაუბრეს თავად საქართველოს მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა, ასევე დამოუკიდებელმა უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა, პოლიტოლოგებმა; არაერთმა ცნობილმა უცხოურმა – ამერიკულმა და ევროპულმა მედიაგამოცემამ მიუძღვნა ვრცელი სტატიები პროექტის მნიშვნელობასა და როლს როგორც ქვეყნის, ასევე მთლიანად რეგიონის კონტექსტში. კომპანიის მნიშვნელობაზეა საუბარი ამერიკაში საქართველოს საელჩოს მიერ მომზადებულ „აშშ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების 2019 წლის მიმოხილვაშიც“.

„Trammo“ საქართველოში 20 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიციას განახორციელებს და ბათუმის პორტში ახალ ტერმინალს ააშენებს, რომელიც აზიიდან მიღებულ პროდუქციას ბათუმის პორტის გავლით ევროპულ ბაზართან დააკავშირებს. ეს არის ახალი სამუშაო ადგილები და მეტი ეკონომიკა ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველო ამერიკულ და უცხოურ ინვესტიციებს მიესალმება“ – აცხადებდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც 2020 წლის თებერვალში ამერიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს „ტრამოს“ ხელმძღვანელ პირებთან გამართა შეხვედრა.

ცოტა ხნით ადრე კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა ამერიკაში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძეც. მან პროექტისა და ინვესტორის მნიშვნელობას არაერთხელ გაუსვა ხაზი.

გასულ წელს ბათუმში ტერმინალის მშენებლობის პროცესს საქართველოში სამუშაო ვიზიტად მყოფი ამერიკელი კონგრესმენები ალექსანდერ მუნი და ადამ კინზინგერი გაეცნენ.

„ამერიკული ინვესტიცია მნიშვნელოვანია ქართულ-ამერიკული თანამშრომლობისთვის. ვუყურებ რა ამ პორტს და მომავალ პოტენციალს, ვხედავ, როგორ შეგვიძლია, გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ მრავალმხრივი ურთიერთობები – იქნება ეს ეროვნული თუ ეკონომიკური უსაფრთხოება. ეს შექმნის სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას“ – განაცხადა კინზინგერმა, რომელიც ამავდროულად საქართველოს მხარდამჭერი ჯგუფის თანათავმჯდომარეცაა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში.

ბათუმის პორტში მშენებარე კარბამიდის ტერმინალი წარსულში არაერთხელ გამხდარა რუსული პროპაგანდის სამიზნე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სასამართლოს მიერ რამდენიმე დღის წინათ (02.03.2020) მიღებული გადაწყვეტილება არ გამორჩენია და მეტიც, ერთ-ერთმა პირველმა გაავრცელა რუსულმა პროპაგანდისტულმა გამოცემა „სპუტნიკმა“.

ამერიკული ინვესტიციის გაურკვეველი ბედი საქართველოში

სასამართლოს გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნაწილში გააჩინა ეჭვი, ხომ არ ცდილობენ რიგი ძალები, ანაკლიის მსგავსად, ბათუმშიც შეაჩერონ პროექტის განხორციელება. პროექტისა, რომელიც ანაკლიის პორტის მსგავსად, ქვეყნის ეკონომიკისა და უსაფრთხოებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია. მსგავსი პროექტების შეჩერება/დაბლოკვა ყველაზე მეტად ხელს სწორედ რუსეთს აძლევს – ქვეყანას, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. შავი ზღვის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და საქართველოს რეგიონულ ჰაბად გადაქცევა მხოლოდ ქვეყნის მტრის ინტერესს შეიძლება, ეწინააღმდეგებოდეს.

არასახარბიელო საინვესტიციო გარემოს გათვალისწინებით, „ტრამოს“ პირდაპირი ამერიკული ინვესტიცია შეიძლება, ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, მით უფრო – ოთხი კონგრესმენის მიერ პრემიერ-მინისტრისადმი მოწერილი წერილის ფონზე, რომელშიც ამერიკული კომპანიებისთვის არასაიმედო გარემოს შექმნაზეა საუბარი:

„სამწუხაროდ, ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრ შემცირებას გვიჩვენებს, რამდენადაც ამერიკულმა და ევროპულმა კომპანიებმა შევიწროება განიცადეს, რამაც ბევრი ბიზნეს-რისკებზე დააფიქრა“ – ვკითხულობთ წერილში, რომელსაც ხელს ადამ კინზინგერი, ჯერი კონოლი, ელიოტ ენგელი და მაიკლ მაკაული აწერენ.

გაჩნდა კითხვა, იყო თუ არა მოსამართლე მეშველიანი თავისუფალი, როდესაც კარბამიდის ტერმინალის მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილებას იღებდა?

მნიშვნელოვანი გარემოება: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მაშინ, როცა ტერმინალის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

ისმის კითხვა: ხომ არა აქვს ადგილი საქართველოში ამერიკული ინვესტიციის დაბლოკვის მორიგ მცდელობას? ეს კითხვა მით უფრო აქტუალურია იმ ფონზე, რომ აღნიშნული ტერმინალის მშენებლობის ირგვლივ არაერთხელ გამოკვეთილა რუსული ინტერესები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 4 კონგრესმენის მიერ გამოგზავნილ წერილში დასავლური ინვესტიციების კლებასთან ერთად, სასამართლო ხელისუფლების მიკერძოებულობაზეც იყო საუბარი.

ცხადია, კითხვები ლეგიტიმურია და პასუხებიც უმოკლეს დროში გაირკვევა, სწორედ მაშინ, როცა მხარედ წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შემდგომ ინსტანციაში შესაგებებელ სააპელაციო სარჩელს შეიტანს.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის პორტში „კარბამიდის ტერმინალის“ მშენებლობასთან დაკავშირებით კომპანია „Wondernet Exspress Investment Group“-სა და ამერიკულ კორპორაცია „Trammo“-ს შორის ხელშეკრულება 2019 წელს გაფორმდა. ტერმინალის ასაშენებლად 20 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციის ჩადება იგეგმება. ტერმინალი აღჭურვილი იქნება მინერალური სასუქების გადატვირთვისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიით და წლის განმავლობაში 1 200 000 ტონამდე სასუქის გადამუშავებას შეძლებს.

„აქცენტი“ შეეცადა, სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომპანია „WONDERNET EXSPRESS INVESTMENT“-ისა და „ტრამოს“ წარმომადგენლების შეფასებაც მოესმინა, თუმცა მათ განაცხადეს, რომ ამ ეტაპზე კომენტარს არ გააკეთე-

რატომ გახშირდა ფრინველის დაცემა შავი ზღვის სანაპიროზე?

„პროგრესნიუსს“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, მწერალი ვაჟა კაკაბაძე ესაუბრა:

– ეს ფოტოები ორიოდე დღის წინათ ბათუმში გადავიღე. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ჩემთან საუბარში აღნიშნეს, რომ ზღვის სანაპიროს გასწვრივ, დახოცილ ფრინველებს და მედუზებს ხშირად ხვდებიან, რაც ამჟამად გავრცელებული ვირუსული დაავადებების ფონზე საგანგაშოდ მეჩვენება.

– ვირუსული დაავადებები ზღვის ნაპირზე ფრინველის დაცემასთან რა კავშირშია?

– მოგეხსენებათ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ვირუსული დაავადებების მნიშვნელოვანი ნაწილის გავრცელება პირდაპირ კავშირშია დაბინძურებული კერების ზრდასთან, ხოლო მათი წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი ეკოლოგიური ცვლილებებია, რომლებიც ყველაზე მტკივნეულად ოკეანეების და ზღვების სასიცოცხლო გარემოზე აისახება. მაგალითად, ტოქსიკურ ნივთიერებათა მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობით თევზის ქვირითი და გადამფრენი ფრინველები გამოირჩევიან, რომლებიც არსებულ გარემოსთან ნაკლებად ადაპტირებულები არიან. ასეთად შეიძლება საშუალო ბატისანი მივიჩნიოთ, რომელიც გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში.

– როგორც ვხვდები, თქვენს ფოტოებზე სწორედ ეს ფრინველია..

– დიახ, ასეა. საქართველოში საშუალო ბატისანი მოიპოვება როგორც მოზამთრე ფრინველი. ის ბინადრობს ტბების და ზღვების სანაპიროებზე და თევზით იკვებება. ამდენად, ეს ფრინველი შეიძლება მივიჩნიოთ ინდიკატორად, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია, გამოვავლინოთ შავი ზღვის დაბინძურების ზრდის ხარისხი. მარტო ბათუმის ნავსადგომის ტერიტორიაზე, 800 მეტრის ფარგლებში, 20 ახალი მკვდარი და 30 უკვე გახრწნილი ფრინველი ვიპოვე, რაც გარკვეული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ დახოცილი ფრინველის ლეში ქმნის საშიშ კერებს, რომლებიც სხვადასხვა დაავადების გავრცელების ხელშემწყობია, მათ შორის ვირუსული დაავადების.

– შავი ზღვის ეკოლოგიას უამრავი წერილი და ინტერვიუ მიუძღვენით, თუმცა ეს პრობლემის მოგვარებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

– ჩემს ინტერვიუებში ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ შავი ზღვის ეკოლოგია ევროკავშირის განხილვის თემა უნდა გახდეს, რამეთუ, შავი ზღვა მარტო საქართველოს არ ესაზღვრება და მისი დაბინძურების ძირითად წყაროებს ის თხევადი ქიმიური ნარჩენები და პლასტმასები წარმოადგენს, **რომლის უდიდესი ნაწილი შავ ზღვაში რუსეთის სამხედრო ბაზებიდან ჩაედინება.** ამ საკითხის ევროკავშირში წარდგენას ის ვალდებულებაც გვაკისრებს, რომელიც ევროკავშირის დოკუმენტზე ხელმოწერით ავიღეთ. კერძოდ:

2019 წლის მარტში, ევროპარლამენტმა მიიღო კანონი და, როგორც უკვე აღვნიშნე ჩვენ ამ კანონს მივუერთდით, რომელიც ერთჯერადი გამოყენების პლასტმასის თეფშების, დანა-ჩანგლის და ა. შ. წარმოებას კრძალავს. მსგავსი პროდუქტები ევროკავშირში 2021 წლიდან აიკრძალება. ამავდროულად, დაწესდა გადამუშავების ახალი მიზანი (2029 წლამდე პლასტმასის ბოთლების 90%-ის შეგროვება) და მწარმოებელთა გაზრდილი პასუხისმგებლობა. საგულისხმოა ისიც, რომ 2016 წელს საქართველოს მთავრობამ 2016-2030 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. ეს დოკუმენტი ზოგიერთი ტიპის ნარჩენის გადამუშავებისთვის ვადებს ადგენს. მაგალითად, დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2020 წლამდე საქართველოში პლასტმასის 30% უნდა გადამუშავდებოდეს (განადგურდეს, ხოლო გამოყოფილი ენერგია გამოყენებულ იქნეს), 2025 წლამდე – 50%, ხოლო 2030 წლამდე – 80%. ფაქტობრივად საქართველოს ტერიტორია საშიში ნარჩენებისაგან 2026 წლისთვის განთავისუფლდება (?).

საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შეთანხმების მოთხოვნების თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტებს ნარჩენების რეციკლირება 2019 წლიდან უნდა დაეწყოთ. ეს ვალდებულება ძალაში თებერვალში შევიდა, შედეგად კი მუნიციპალიტეტებმა ნარჩენების მართვის გეგმები შეადგინეს, რომელიც მრავალ მიმართულებას ითვალისწინებს და უდავოდ დადებითად აისახება მდინარეების, ტბების და, შესაბამისად, ზღვის ეკოლოგიაზე, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, აღსრულება დღემდე გამოწვევად რჩება შავი ზღვისა და მისი მიმდებარე ტეროტორიის და ამ ტერიტორიის ფარგლებში არსებული ფლორისა და ფაუნის ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით, რადგანაც ნარჩენების თითქმის 40-50% შავ ზღვაში შემოედინება აფხაზეთის ზღვის აკვატორიიდან, ხოლო შედეგი ასეთია: თევზის ბიომრავალფეროვნება შემცირებულია როგორც სახეობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. გასული საუკუნის 80-იან წლებში შავ ზღვაში გავრცელებული თევზის 184 სახეობა და ქვესახეობიდან ჩვენს სანაპიროზე 104 ერთეული აღირიცხებოდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში 69 და უკანასკნელ ათწლეულში ქვეყნის იურისდიქციერებად ზონაში **იქთიოფაუნის მხოლოდ 52 წარმომადგენელი აღირიცხა!** კატასტროფიულად გაიზარდა იმ ფრინველების სიკვდილიანობის მაჩვენებელი (20%) ვინც იზამთრებს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ; ამის ნათელი მაგალითია ჩემს მიერ გადაღებული ფოტოსურათები, სადაც ასახულია დახოცილი საშუალო ბატისანი;

ჩემი მოსაზრებით ეს საკითხი ევროკავშირის განხილვის საკითხი უნდა გახდეს, ვინაიდან ეკოლოგია არ შეიძლება იყოს ლოკალური ხასიათის, ის ყველას პრობლემაა – მოყვრისა თუ მტრის, დიახ, საფრთხე ყველას ერთნაირად ემუქრება. ჩვენ კი ეს საკითხი საყოველთაო განხილვის თემად უნდა ვაქციოთ, რამეთუ მხოლოდ მთავრობის ძალისხმევით ის არ მოგვარდება.

„პროგრესნიუსი“

მან გამოიგონა სუყოველივე, თვით ყოფაქცევის ახალ წესებამდე. მან შექმნა სამოსლის ახალი თავისუფლება და აღმოაჩინა ანდროგინულობა მოდისთვის.

სონია რიკელი

თავის თავზე

სევდიანობის შეტევა ხშირად ახსენებდა თავს კოკო შანელს.

ერთხელ თავისი დის შვილიშვილს თინი ლიაბრუნის ისეთ სანუკვარ რამეზე ესაუბრებოდა, რაზეც ადრე არავისთან არ უსაუბრია:

– ნამდვილად მართალი ხარ, თინი. კარგია, რომ ოჯახი გყავს; გყავს ქმარი, შვილები, მე კი სავსებით თავხელმარტო ვარ. ამ მხრივ ჩემი ცხოვრება ვერ აეწყო.

* * *

ვითომ ღირს კი იმაზე ლაპარაკი, რომ კოკო ყოველთვის სული და გული იყო სუყოველ საზოგადოებაში და ისეთი ადამიანებით იყო გარემოცული, რომლებიც თვალებში შესციცინებდნენ. 1954 წელს კოკომ თავისი მოდების სახლი სამართავად გადასცა მსახიობ კრისტიან მარკანის დას – ლილ მარკანს.

* * *

სუყოველ საღამოს კოკო ნაღვლიანობის შეტევას ებრძოდა, თვითონ მარტოობის ამბავი მოსვენებას უკარგავდა, აუტანელი იყო. როგორც თავად ამბობდა, გამოსავალი ერთი რამ იყო – სამუშაო დღის გვიანობამდე გაგრძელდება. მარტო ის აზრი, რომ მარტოს უნდა ესადილა, თავზარსა სცემდა...

* * *

– თქვენი მეგობრები, ქალბატონო?

– რა მეგობრები! ქალებს მეგობრები არა ჰყვანან, ისინი ან უყვართ, ან არა.

* * *

ჩემი წარმატების და საყვარელი საქმის მოხელკეთილების უფლების გულისთვის ბედს საზღაურად ჩემი მარტოობა გადავუხადე.

* * *

მსოფლიოში მხოლოდ ერთი მადმუაზელი – ეს მე ვარ, ერთადერთი ქალბატონი ელენე რუბინშტეინია, და მხოლოდ ერთი მის ელიზაბეტ არდენია.

* * *

შანელი გოი კეიპელის შესახებ:

– ის პოულობდა დროს, რათა ჩემთვის დაეთმო ის დრო და ყოველთვის სხვებთან ეღალატა ჩემთვის. მხოლოდ ეს მტოვებდა გულგრილს. ამას არცრა აზრი და მნიშვნელობა არა ჰქონდა ჩემთვის. ყოველთვის ვიცოდი, რომ მარტო მე ვუყვარდი. ეს თანაც იმდენად არ მაგულისყურებდა, სულერთი იყო, რომ ქმრიან ქალებს ხვდებოდა. იმ დროს ზიზღსა ვგრძნობდი, საერთოდ, არაფრად არ მიმაჩნდა.

* * *

იმას რომ განმარტავდა, რატომ თქვა უარი ჰერცოგ ვესტმისტერელის ცოლობაზე, კოკო ამბობდა:

– ვესტმისტერელი ჰერცოგინია ბევრია, კოკო შანელი კი ერთადერთია ამ ხანაში.

* * *

მეათე ათეულის მიწურულს:

– თავს თუ მომაჭრიდით, ცამეტ წელზე მეტს ვერ მომცემდით.

* * *

აი, რარიგ მომწყინდა შენთვის მუდმივად გზის გათავაზება. დღეს ავდგები და თან გამოგყვები.

* * *

ისე არაფერი არ მღლის, როგორც ხანგრძლივი დასვენება.

* * *

სუყოველი ქალბატონი ცდილობდა იმის გაგებას, ვინ მპრანჭავდა და მეტადრე ვინ მარგებდა შლაპებს. ქალფაქთ ლაფაიეტის გალერეაში ვიძენდი და შლაპებად ვაკეთებდი.

* * *

მთელი მსოფლიო მივაჩვიე ისე შემოსილიყო, რაც მე მიხდებოდა.

* * *

საზოგადოებაში იმიტომ კი არ შევედი, რაკი სამოსელი უნდა შემექმნა. სულაც არა ამისთვის, სამოსელს განსაკუთრებულად იმიტომ ვქმნიდი, რაკი საზოგადოებაში ვცხოვრობდი, სადაც პირველი ქალი გავხდი, ვინც ამ საუკუნის სავსე ცხოვრებით ვსუნთქავდი.

* * *

თუ ჩემს ხანდაზმულ ასაკში ვინმე საყვარელი გამოჩნდა 15 წლით ჩემზე ახალგაზრდა, არ ვეკითხები, რა ეროვნების ხარ-მეთქი?

* * *

...რომ დავცილდი, ყოველივე დავკარგე, რაც კი რამ მქონდა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, ის იყო ყოვლის უფრო ნამდვილი წარმატება ჩემს ცხოვრებაში. მან კარგად უწყოდა, რარიგ უნდა განევითარებინა ჩემში ჩემი ყოვლის უფრო საუკეთესო თვისებები ყოველივე დანარჩენის ხარჯზე.

* * *

ჩემმა ცხოვრებამ კიბეებზე ჩაიარა. ბოლო საფეხურზე ავჯანყდი. მარტო ვიყავი.

* * *

არ შემიძლია ადამიანის მიმართ გულგრილად ყოფნა. ვინმე ან მიყვარს, ან არა.

* * *

სიზმრები გავშვური მაქვს. ისეთი ცხოვრება მესიზმრება, როგორითაც მინდოდა ცხოვრება.

* * *

როგორც ნამდვილ ფრანგთ, როგორც საერთოდ კაცებს, ეტიენ ბალსანს ისევ შევუყვარდი, იმიტომ, რომ სხვასთან წავედი.

* * *

ჩემი სახელი იზრდებოდა და ჩრდილავდა იმის წარმავალ დიდებას (ირიბზე თქმული).

* * *

რა თქმა უნდა, შემეძლო, გოი კეიპელს გავყოლოდი, ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის ვიყავით შექმნილნი. რატომ არ მოხდა ეს ქორწინება? გოი კეიპელი პირად თავისუფლებას აფასებდა, ქალები პირდაპირ დასდევდნენ. მე არ ვეჭვიანობდი, სულელი ვიყავი. სუყველანი მახინჯნი მეგონნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ განკერძოებით მარტო მე ვუყვარდი.

ვეუბნებოდი ხოლმე: „ქალები სულ შენ გიცქერიან, შენც ერთობი“. ის კი სიცილით მეტყოდა: „მე კი არა, შენ გიცქერიან“.

* * *

მიმიფურთხებია, რას და რარიგ ფიქრობთ ჩემზე. მე საერთოდ არ ვფიქრობ თქვენზე.

* * *

არცვის ჩემისთანა ცხოვრებით ცხოვრება არ შეეძლო. არცრა არ მესმოდა, არცვინ არას არ მასწავლიდა, სამწუხაროდ, ჩემ გარშემო ახალგაზრდებს არ უნდოდათ, რომ შევცვლილიყავი, იმათ ესურვილებოდათ, რომ კოკო ისეთივე დარჩენილიყო, როგორიც გუშინ და ერთ წლის წინათ იყო. მე სასაცილო ვინმე ვიყავი იმათთვის, ისინიც იდგნენ და გიყურებენ, ერთობოდნენ და სულ შანელის წყალობით. შეიძლება იმის თქმა, რომ იმათ უხაროდათ გულუბრყვილო კოკო შანელთან შეხვედრა.

„ქალი სუყოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

სამუშაოს თაობაზე

ყოვლის უწინარესად იმიტომ ვიტანჯებოდი, რაკი არცროდის შანელის სახლის მიტოვება არ მინდოდა – იმ ერთადერთი რისამე, რასაც სულ მთლად ვფლობ, რაც მხოლოდ მარტო მე მეკუთვნის. ეს ერთადერთი ის ადგილია, სადაც თავს ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობდი. აქ არცროდის თავს არ მაბეზრებდნენ, რასაც ვახელკეთილებდი, ყოველივეს დიდი წარმატება ჰქონდა. მე მხოლოდ ფული უნდა მომეთხოვა. მხოლოდ ღიმილს ვხედავდი. არცვის შეეძლო, რომ ჩემთან უსიამოვნო სტუმარი ყოფილიყო.

* * *

შანელის კლიენტი ქალები კითხულობენ ჟურნალ-ლუქსებს – „ვოგ“-ს, „ხარპერ ბაზარს“. ეს ჟურნალები ჩვენს რეკლამირებას ეწევიან. საყოველთაოდ ხელმისაწვდომი დიდტირაჟიანი ჟურნალები ქმნიან ჩვენს ლეგენდას.

* * *

გაწყობა იქნება არც იყოს საჭირო – მთავარია, რომ შევინარჩუნოთ თანაფარდობა, ანუ პროპორციები და იყოს შეხმატკბილება, ანუ ჰარმონია.

* * *

სამუშაო – რა საშინელი სიტყვაა, მაგრამ თავის რჩენის ღირსეული ხერხია.

* * *

არ შეიძლება განუწყვეტლივ სიახლის ქმნა.

* * *

ბოლო ხანს ისინი სულ მექქლესებიან, რა არის ავიმარგო. არ ესმით, ეს რა კატასტროფაც იქნებოდა. ჩემსა ოთხასი ადამიანი მუშაობს. თუ დავიკეტები, ეს მთელი საავტომობილო ქარხნის თანაფარდი რამ იქნება.

* * *

თუ შანელი ვერ იდგება ფეხზე, აღარც მოდა იქნება.

* * *

ერთი ამერიკელი გამომცემელი ეთათბირებოდა კოკო შანელს, რომ ქალებისთვის რჩევები დაეწერა:

– კი, კი, დავწერ ამ რჩევების წიგნს და მერე ვნახოთ. მინდა, რომ რამე დარჩეს ჩემ შემდეგ... ფული არ მჭირდება. იმასაც კი სულ ვერ ვხარჯავ, რასაც გამოვიმუშავებ.

* * *

მე შემეძლო ჩემი საკუთარი მაღაზიის გახსნა, რადგან ორი ვაუბატონი ებრძოდა ერთმანეთს ჩემი მოკრძალებული პიროვნებისა გამო.

* * *

ჩემს კლიენტებს სიამოვნებთ ჩემთან მოსვლა, ერთგვარად ხიბლიანი სახლის ზღურბლის გადმობიჯება, ის კმაყოფილების გრძნობა, რასაც ისინი განიცდიან, იქნებ ოდნავ მეშჩანურსაც ენათესავებოდეს, მაგრამ აღფრთოვანებულნი არიან იმით, რომ ეხებიან ჩვენს ისტორიას და სხვებთან შედარებით უპირატესნი არიან. ეს კი ბევრად უფრო აბედნიერებთ, ვიდრე მორიგი სამოსლის დაკვეთა. ლეგენდა აკურთხებს სახელ-დიდებას.

* * *

ხშირად მეკითხებით, აგრერიგად რატომ ვჯიუტობ მუშაობაში, რათა მხარი თავის ადგილას იყვეს? იმიტომ, რომ ქალებს, როგორც წესი, მრგვალი მხრები აქვთ, წინ წამოწეული, რაც, ვფიქრობ, ამაღელვებელია და დამალვა არ ღირს. იქნებ ვინმემ გითხრათ, მხარი ზურგზე გაქვთო... თქვენ რა, გინახავთ ზურგზე მხარმოგდებული ქალი? რაღაც ეჭვი მეპარება.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-43

პირველად აზერბაიჯანის ისტორიაში

აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარედ ქალი პირველად აირჩიეს. მმართველმა პარტია „იენი აზერბაიჯანმა“ საკანონმდებლო ორგანოს სპიკერის პოსტზე საჰიბე გაფაროვა წარადგინა. მის კანდიდატურას 116 დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

აზერბაიჯანში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 9 თებერვალს გაიმართა. შედეგად მმართველმა პარტიამ, 125-ადგილიან მილი მეჯლისში 70-ზე მეტი დეპუტატი შეიყვანა.

ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენები ევროპაში



აშშ-მა ევროპაში „ბი 2 სფირით“-ის ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენები გადაისროლა. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპულ სარდლობაში აცხადებენ, რომ სამხედრო თვითმფრინავები ატლანტის ოკეანეში მდებარე პორტუგალიის აზორის კუნძულებზე არსებულ ავიაბაზაზე განთავსდა. აშშ-ის ევროპული სარდლობა თვითმფრინავების რაოდენობას არ აკონკრეტებს.

„თვითმფრინავები განახორციელებენ ოპერაციებს სხვადასხვა სამხედრო ობიექტზე აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის პასუხისმგებლობის ზონაში. ევროპაში სტრატეგიული ბომბდამშენების განლაგება ეკიპაჟის წევრებისთვის სამხედრო ოპერაციების თეატრს უზრუნველყოფს და გამოხატავს აშშ-ის ერთგულებას მოკავშირეებისა და პარტნიორების მიმართ“, — აღნიშნულია აშშ-ის ევროპული სარდლობის განცხადებაში.

„ვინც ჩვენთან მახვილით მოვა, მახვილითვე დაიღუპება“

რუსეთი ისევე უპასუხებს ნებისმიერ აგრესორს, როგორც საბჭოთა კავშირმა უპასუხა ფაშისტებს, — ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. როგორც რუსული გამოცემა „ტასი“ წერს, რუსეთში პოპულარული გამოთქმის — „შეგვიძლია, გავიმეოროთ“ კომენტირებისას, ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთი ფრაზა გაიხსენა: „ვინც ჩვენთან მახვილით მოვა, მახვილითვე დაიღუპება“.

„საბჭოთა კავშირმა საშინელი, დაუვიწყარი თავდასხმა განიცადა ნაცისტური გერმანიის მხრიდან. ჩვენ 27 მილიონი ადამიანი დავკარგეთ. მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ არსებობს, რომელიც ასეთ ზარალს განიცდიდა. და თუ ვინმე გაბედავს მსგავსი რამის გაკეთებას, ჩვენ გავიმეორებთ“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

სირიის წინააღმდეგ ნატო თურქეთს დაეხმარება

სირიისგან მომდინარე საფრთხისგან დასაცავად ნატო თურქეთს სარაკეტო სისტემებით და სამხედრო-საზღვაო ძალების კომპონენტით დაეხმარება. როგორც თურქული სააგენტო „ანადოლუ“ წერს, ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, თურქეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

იენს სტოლტენბერგის თქმით, თურქეთი ნატოს წევრებს შორის სირიის არეულობისგან ყველაზე მეტად დაზარალდა და ტერორისტული თავდასხმებისგან მოკავშირეებს შორის ყველაზე დიდი ზიანი მიიღო. ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, ალიანსი აღიარებს, რომ თურქეთი მძიმე ტვირთს ატარებს, თუმცა კრიზისის გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის, ანკარამ თავის როლი უნდა ითამაშოს. თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტმა ნატოს წევრებს მოუწოდა, რომ კრიტიკულ მომენტში ანკარას სოლიდარობა აჩვენონ და დახმარება აღმოუჩინონ.

ავღანეთიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანა დაიწყო

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანა დაიწყო. მოძრაობა „თალიბანთან“ გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, აშშ ავღანეთში დისლოცირებული ჯარისკაცების რაოდენობას 12 000-დან 8600-მდე შეამცირებს. ეს პროცესი 135 დღეში უნდა დასრულდეს.

29 თებერვალს დოჰაში ხელმოწერილი დოკუმენტით, „თალიბანი“ ძალადობაზე უარს იტყვის და არ მისცემს ტერორისტულ დაჯგუფებებს ავღანეთის იმ ტერიტორიაზე მოქმედების საშუალებას, რომელსაც „თალიბანი“ აკონტროლებს. ამავე შეთანხმების მიხედვით, „თალიბანმა“ და ავღანეთის მთავრობამ დიალოგი უნდა წამოიწყონ. მოლაპარაკებების დაწყებამდე „თალიბანი“ ავღანეთის ციხეებში მყოფ თანამებრძოლების გათავისუფლებას ითხოვს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარინე ხუნდაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარინე ხუნდაძე (პ/ნ 61001008303), ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 81

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, პუშკინის ქ. №79-81, ბინა 22 (საკადასტრო კოდი: 05.28.16.024.01.022 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17780.69 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 11 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65433320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 654333
6. **მოვალე:** მარინე ხუნდაძე (პ/ნ 61001008303), ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 81
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65433320; ლოტის ნომერი: 654333).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მარტის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე“ (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ვარკეთილის დას., ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №18, სად. 1, სართ. 10, ბინა 52 (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.567.01.01.052 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 95212.61 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 14523.95 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 11 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65432320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 654323
6. **მოვალე:** მარიკა ლატარია (პ/ნ 62007013361), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის 48ე, ბინა 95
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65432320; ლოტის ნომერი: 654323).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მარტის 10:00 საათამდე.

ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ

საქართველო
ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (BARP)
დავალების სახელწოდება: ბათუმი (ანგისა) – ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის (ლოტი 1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ5+195 – კმ29+732; ლოტი 2 გოდერძის უღელტეხილი - ზარზმა კმ0+000 - კმ 17+380) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
სატენდერო მოწვევა: BARP/CW/ICB-01

1. საქართველომ არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდისგან მიიღო დაფინანსება **ბათუმი (ანგისა) - ახალციხის გზის პროექტისთვის,** რომელიც გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა **„ბათუმი (ანგისა) – ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი I - ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ5+195 – კმ29+732; ლოტი II - გოდერძის უღელტეხილი - ზარზმა კმ0+000 - კმ 17+380) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები“.**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **730 დღე.**

3. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **2,800,000 აშშ დოლარის** ოდენობით ლოტი I-სთვის, ხოლო **1,600,000 აშშ დოლარის** ოდენობით ლოტი II-სთვის, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დამკვეთი იტოვებს უფლებას დააზუსტოს თუ საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იქნება ბანკის მხრიდან რაიმე პირობის გათვალისწინებით);

ბ. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017, 2018 და 2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **11,200,000 აშშ დოლარის** ოდენობით ლოტი I-ზე ხოლო, **6,500,000 აშშ დოლარის** ოდენობით ლოტი II-ზე, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისგან, გაყოფილი 3 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2015 წლის 1 იანვრიდან;**

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის მიერ შესრულებული მსგავსი კონტრაქტების მინიმალური რაოდენობა, რომელიც წარმატებით და არსებითად დასრულებულია **2015 წლის 1-ლი იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადამდე:**

- ლოტი I: ერთი (1) ხელშეკრულება ღირებულებით არანაკლებ **11,200,000 აშშ დოლარისა** ან არაუმეტეს სამი (3) ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით არანაკლებ **13,500,000 აშშ დოლარისა,** რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების **80%** ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;
- ლოტი II: ერთი (1) ხელშეკრულება ღირებულებით არანაკლებ **6,500,000 აშშ დოლარისა** ან არაუმეტეს სამი (3) ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით არანაკლებ **7,800,000 აშშ დოლარისა,** რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების **80%** ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

ე. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, ან ქვე-კონტრაქტორის მინიმალური სამშენებლო გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში, რომლებიც შესრულებულია 2015 წლის 1-ლი იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადამდე პერიოდში ნებისმიერი უწყვეტი 2 წლის განმავლობაში::

- **ლოტი I**

1. 85,000 მ2 ასფალტის საფარის სამუშაოები;
2. ჯამურად 5,000 გრძივი მეტრისაყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;
3. ჯამურად 700 გრძივი მეტრი მილების მოწყობის სამუშაოები.

- **ლოტი II**

1. 60,000 მ2 ასფალტის საფარის სამუშაოები;
2. ჯამურად 650 გრძივი მეტრი საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;
3. ჯამურად 550 გრძივი მეტრი მილების მოწყობა.

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით გამოთხოვა შესაძლებელია უფასოდ.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ - ინსტრუქციის ტენდერში მონაწილეთათვის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

ტენდერის გახსნა მოხდება ინსტრუქციის ტენდერში მონაწილეთათვის 25.1 პუნქტის შესაბამისად.

დამკვეთის მისამართი: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო.

ლევან კუპატაშვილი,
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი 12
ქალაქი: თბილისი 0160
ქვეყანა: საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge

INVITATION FOR BIDS

GEORGIA
Batumi-Akhaltsikhe Road Project (BARP)
Contract Title: Rehabilitation / Reconstruction Works of Khulo-Zarzma Section of Secondary Road Batumi (Angisa) – Akhaltsikhe (LOT I: Khulo – Goderdzi Pass km 5+195 – km 29+732; LOT II: Goderdzi Pass – Zarzma km 0+000 – km 17+380)
Bid invitation No. BARP/CW/ICB-01/01

1. Georgia has received financing from Kuwait Fund for Arab Economic Development towards the cost of **Batumi-Akhaltsikhe Road Project** and intends to apply payments under the contract for Contract Title: **Title: Rehabilitation / Reconstruction Works of Khulo-Zarzma Section of Secondary Road Batumi (Angisa) – Akhaltsikhe (LOT I: Khulo – Goderdzi Pass km 5+195 – km 29+732; LOT II: Goderdzi Pass – Zarzma km 0+000 – km 17+380) .**

2. The project-implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of these works. Implementation period for execution of works is **730 Days.**

3. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. The Bidder shall demonstrate that it has access to, or has available, liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **USD 2,800,000** (Two Million Eight Hundred Thousand United States Dollars) for the Lot I contract and **USD 1,600,000** (One Million Six Hundred Thousand United States Dollars) for the Lot II contract, net of the Bidder's other commitments.

b. Minimum average annual construction turnover of **USD 11,200,000** (Eleven Million Two Hundred Thousand United States Dollars) for the Lot I contract and **USD 6,500,000** (Six Million Five Hundred Thousand United States Dollars) for the Lot II contract, calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within the last 3 (three) years: 2017, 2018, 2019, divided by 3 (three) years;

c. Experience under construction contracts in the role of prime contractor, JV member, Subcontractor, or management contractor for at least the last 5 (five) years, starting 1st January 2015.

d. A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed as a prime contractor, joint venture member , management contractor or Subcontractor between 1st January 2015 and bid submission deadline:

- For Lot I: (i) 1 (one) contract with minimum value of **USD 11,200,000** (Eleven Million Two Hundred Thousand United States Dollars) Or (ii) not more than 3 (three) contracts, with a combined value of **USD 13,500,000** (Thirteen Million Five Hundred Thousand United States Dollars);
- For Lot II: (i) 1 (one) contract with minimum value of **USD 6,500,000** (Six Million Five Hundred Thousand United States Dollars) Or (ii) not more than 3 (three) contracts, with a combined value of **USD 7,800,000** (Seven Million Eight Hundred Thousand United States Dollars). The similarity of the contracts shall be based on the following: physical size, complexity, construction method, technology and/or other characteristics.

e. For the above and any other contracts [substantially completed and under implementation] as prime contractor, joint venture member, or Subcontractor between 1st January 2015 and Bid submission deadline, a minimum construction experience in the following key activities successfully completed. a) any consecutive 2 (two) years during last 5 (five) years:

- For Lot I:

1. Asphalt-concrete pavement - 85,000 m^2;
2. Retaining walls - at least 5,000 linear meters in aggregate;
3. Culverts – at least 700 linear meters in aggregate.

- For Lot II:

1. Asphalt-concrete pavement - 60,000 m^2;
2. Retaining walls - at least 650; linear meters in aggregate;
3. Culverts - at least 550 linear meters in aggregate.

f. Additional Qualification Criterion as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

5. Interested Bidders may obtain further information from, and request the Bidding Documents at:
Email: info@georoad.ge
To: Mr. Levan Kupatashvili, Deputy Chairman of Roads Department of Georgia
CC: Givi.kveladze@georoad.ge
Tinatin.kolbaia@georoad.ge
Matsatso.alibegashvili@georoad.ge
Adress: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia

6. Bids shall be submitted as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted.

7. Bid opening will take place as per ITB 25.1.

8. The Employer's address:
Attention: **Mr. Levan Kupatashvili, Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Street Address: **12 A. Kazbegi ave.**
City: **Tbilisi, 0160**
Country: **Georgia**
E-mail address: **info@georoad.ge**

იარაღი არის ცოდნა, დისციპლინა, კულტურა!

თავისუფალ ადამიანს თავის დაცვა უნდა შეეძლოს

მიუხედავად **იმისა, რომ იარაღის შენახვისა და ტარების უფლებას კანონი განსაზღვრავს, ადამიანები შეცდომებს უშვებენ, რაც ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. ეს რამდენიმე დღის წინათ გუდაურში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის დროსაც ცხადი გახდა.**

პირმა, რომელსაც იარაღი აქვს, მისი ხმარება უნდა იცოდეს.

„დღევანდელი კანონის ფარგლებში, თავდასხმის დროს საკუთარი იარაღი რომ გამოიყენო, თუ ვერ დაადასტურებ, რომ თავს იცავდი, შესაძლოა, მსხვერპლი აღმოჩნდე და გამტყუნდე“, — ამბობს ნეტო ბენდელიანი „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში.

დღეს საგანგებოდ გთავაზობთ საინიციატივო ჯგუფის „სპორტული სროლის“ დამფუძნებელის ნეტო ბენდელიანის მოსაზრებებს:

— საქართველოში სასროლო სპორტი ერთ-ერთი წარმატებულია. მსროლელებს არაერთხელ უსახელებიათ სამშობლო ოლიმპიადებსა თუ სხვა საერთაშორისო ტურნირებზე (სალუქვაძე, ჟღენტი, იმნაიშვილი), იარაღის შესახებ კანონის დახვეწასა და განვითარებაზე ზრუნავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მათ წარადგინეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივა, იარაღის შესახებ. ჩანს, რომ სახელმწიფოს აქვს თავისი მკაფიო დამოკიდებულება იარაღის შესახებ კანონის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით.

საქართველოში იარაღის ტარების დიდი ტრადიცია არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, დავკარგეთ იარაღის მოხმარების კულტურა... იარაღი სამხედრო პირის ან ძალოვანი უწყების თანამშრომლის კუთვნილებად მიიჩნევა. არადა, თავისუფალ ადამიანს უნდა შეეძლოს თავის დაცვა, მაგრამ ეს იკრძალებოდა 70 წლის განმავლობაში, კომუნისტური წყობის დროს. მას მერე შემოგვრჩა ძველი კანონები, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ ერგება დღევანდელ რეალობას.

ზუსტი, ტაქტიკური და პრაქტიკული სროლა, ეს იარაღის მოყვარულთა ერთ-ერთი საყვარელი სპორტია. თუმცა, მაქსმენები (სამოქალაქო სპორტული მსროლელები) ამბობენ, რომ კანონმდებლობაში არის ბევრი ხარვეზი, უფრო მეტიც: რამდენიმე მათგანი საერთოდ აბსურდულია. პისტოლეტის ყიდვა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, შესაბამისი იურიდიული ტესტის ჩაბარების შემდეგ, მაგრამ ის ვერ ამოწმებს ამ იარაღს ტირში, რადგან გადატანა ეკრძალება. აქედან გამომდინარე, შენახვის წესების არცოდნის გამო, ბევრი უბედური შემთხვევა აღინუსხა. თუ მოქალაქეს იარაღს ვაძლევთ, მას იარაღის შესწავლისა და გამოყენების უფლებაც უნდა მივცეთ, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში. არიან ისეთები, ვინც ერთობა და ისვრის, მაგრამ არ არის მონადირე. მათ მონადირის კანონი ზღუდავს. დღევანდელი კანონმდებლობით ასევე აკრძალულია ე. წ. მაყუჩების გამოყენება და არ არის განმარტება, რატომ. მით უმეტეს, მაყუჩი არ ცვლის ტყვიის ბალისტიკას და ევროპაში უმაყუჩოდ ნადირობა აკრძალულია. საქართველოში სასროლეთი არ გვაქვს, რადგან დადგენილების თანახმად, უნდა აშენდეს 5-მეტრიანი ქვის ღობე, რაც რეკომენდებული არ არის, პირველ რიგში, უსაფრთხოების ღონისძიებებიდან გამომდინარე (გვერდითა კედლიდან ტყვიის ასხლეტვის მაღალი ალბათობის გამო), ჯობია იქ საერთოდ კედელი არ იყოს. გარდა ამისა, თუ სასროლეთში შაშხანისათვის სასროლო მანძილი საშუალოდ 600-700 მეტრი იქნება, დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად, სასროლეთის გარშემო უნდა აშენდეს 1.500 მეტრის სიგრძისა და 5 მეტრი სიმაღლის ღობე, რისი მოწყობაც ნებისმიერი ინვესტორის პირობებშიც კი წარმოუდგენელია.



რელოურინგი არის ვაზნის გადატენვა (სასროლად გამზადება), თუნდაც ნადირობისთვის. მთელ მსოფლიოში ეს დაშვებულია და ჩვეულებრივ პროცედურად ითვლება. ჩვენთან ჯერ კიდევ საბჭოთა დროინდელი ჩანაწერები არის დარჩენილი კანონში, რომელიც განმარტავს, რომ საბრძოლო მასალის დამზადება ისჯება და ხრახნულიანი იარაღის ტყვიაც საბრძოლო მასალად არის განხილული. პრობლემებია იარაღის აქსესუარებთან დაკავშირებითაც. ადრე იარაღის აქსესუარების შეძენა შესაძლებელი იყო, თუნდაც გამოწერის სხვადასხვა საშუალებებით. ამ ეტაპზე საქართველოში იარაღის აქსესუარები ვერ შემოდის ასევე საბაჟოზე. იარაღის სახელურის, ოპტიკის, სამიზნეს შეძენა კანონით შეუძლებელია, მაგრამ ამ ყველაფერზე არ არის ოფიციალური განმარტება, თუ რატომ იზღუდება.

საქართველოში იარაღის ტარების ლეგალიზება ბევრს ისე ესმის, თითქოს მივიღებთ კანონს და მეორე დღესვე ყველას შეეძლება იარღის ტარება... საამისოდ უამრავი პროცედურა უნდა გატარდეს. იარაღის ქონა და შემდეგში ტარების უფლება უნდა მოხდეს შესაბამისი კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმებით. დღევანდელი კანონის გათვალისწინებით, თავდასხმის დროს საკუთარი იარაღი რომ გამოიყენო, თუ ვერ დაადასტურებ, რომ თავს იცავდი, შესაძლოა გამტყუნდე.

ალბათ გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც იტყვის, რომ ისედაც უამრავი მკვლელობა ხდება და კანონის ლიბერალიზაცია კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. კრიმინალს თუ იარაღი სჭირდება, ყოველთვის იშოვის შავ ბაზარზე. ამერიკის იმ შტატებში, სადაც იარაღის ტარება ლეგალურია, ნაკლები მკვლელობა ხდება, ვიდრე ნიუიორკში, სადაც ამ მხრივ გაცილებით მკაცრი წესებია. პისტოლეტი თავდაცვის საშუალება უნდა იყოს და არა — მკვლელობის. შესაძლებელია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ კანონმორჩილ მოქალაქეს ექნება თავდაცვისთვის იარაღის ტარების უფლება, განსაზღვრული პერიოდით (1-2 წლით). ოღონდ მხედველობაში უნდა მიიღონ მოქალაქის პროფესია და მიმდინარე საქმიანობა, ცოდნა და გამოცდილება, წარსულში ჩადენილი ან შესაძლო კავშირი რაიმე სახის დანაშაულთან. რამდენად კარგი გადასახადის გადამხდელია, ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. ამით სახელმწიფოს შეუძლია, დამატებითი შემოსავალი მიიღოს.

სახელწიფო და მოქალაქეები უნდა შევთნხმდეთ, რომ იყოს მეტი მცოდნე მსროლელი მოქალაქე. იარაღი არის ცოდნა, დისციპლინა, კულტურა... წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ იარაღის მფლობელსა და მოყვარულს...

დასაბეჭდად მოამზადა
დათა თვალაძემ

მეგობარი ჭირში იცნობა...

მეგობარი მეგობარს ანაცვლებს თავს...

სალომონ ფლორი (1908-1983), საერთაშორისო დიდოსტატი (19540), საერთაშორისო არბიტრი (1963), ჟურნალისტი, კომენტატორი. ფლორის ჟურნალისტური სტატიები, როგორც ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, აღაფრთოვანებდნენ მკითხველთა ფართო აუდიტორიას მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ჩვენი მოჭადრაკეების შესახებ მისი გულთბილი პუბლიკაციები და არა მარტო მათ შესახებ.

სალო ფლორმა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მრავალ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ალიოხინთან შეხვედრის უფლება მოიპოვა. ეს მატჩი 1938 წელს უნდა გამართულიყო ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ იგი არ შედგა ფაშისტების მიერ ქვეყნის ოკუპაციის გამო.

რიჰარდ რეტის (1889-1929) ნოვატორული თეორიული ნაშრომი აისახა საკომპოზიციო დიდოსტატთა შემოქმედებაში

რ. რეტი
„კელნიშე ფოლკსცაიტუნგ“
1928





მოგება

საქართველოსთან ურთიერთობა სალო ფლორმა 1953 წლიდან დაამყარა, როდესაც მოსკოვში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ვიქტორ გოგლიძეს დაუმეგობრდა.

...„ქართული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი“ — ფლორმა ეს ესსე ვიქტორ გოგლიძეს მიუძღვნა.

...„როგორც ამბობენ, მეგობარი ჭირში იცნობა. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მე, ჰიტლერელებისაგან დევნილი, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავდიოდი. კარგად მახსოვს, თბილისში როგორი პატივისცემით მიმიღო ვიქტორის ოჯახმა. ისინი მაშინ ბარნოვის 13 ნომერში, I სართულზე, ოროთახიან ბინაში ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებით მოხიბლული იყო ბნი სალო პატარა მარინე გოგლიძის მუსიკალური ნიჭით, რომელიც შემდგომში მრავალი საფორტეპიანო კონკურსის ლაურეატი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ბატონმა ვიქტორმა 1946 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირში მოიწვია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მრავალგზის პრეტენდენტი პაულ კერესი, რომლის გამო, — იგონებს ბ-ნი ვოვა (ბ-ნ ვიქტორის ვაჟიშვილი) „მამაჩემს მთელი რიგი უსიამოვნებები გადახდა. პაულ კერესი ოკუპირებულ ბალტიისპირეთში ერთდროულ სეანსებს ატარებდა, რომელშიც გერმანელებიც მონაწილეობდნენ. კომუნისტური რეჟიმი არ იყო შემწყნარებელი. ასეთი „აპოლიტიკური“ მოჭადრაკის მიმართ“ — ამრიგად, ბ-ნმა ვიქტორმა დიდი რისკის ფასად დაუშვა პრეცედენტი, ფართო გზა გაუხსნა ბრწყინვალე მოჭადრაკეს და ამით გადაარჩინა პაულ კერესის საჭადრაკო მემკვიდრეობა.

აქვე გთავაზობთ გამოჩენილი ჩეხი დიდოსტატის რიჰარდ რეტის (1889-1929) კომპოზიციას სალო ფლორის კომენტარებით.

თამაზ შენგელია

ავსტრალიელები მადლობას გვიხდიან

სიდნეის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის გამოცდილება სამაგალითოდ აღიარეს

მავნე ორგანიზმების გავრცელების რისკი და პრევენცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებები, ველური ბუნებისა და გარემოს გამოწვევები განიხილეს ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეიში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც საქართველოდან სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ მესხი დაესწრო.

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო აზიური ფაროსანას გავრცელება და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებები. მავნებელთან ბრძოლის მეთოდების, საქართველოში შექმნილი სპეციალური სისტემის და მიღებული შედეგების შესახებ კონფერენციის მონაწილეებს ინფორმაცია ნიკოლოზ მესხმა მიაწოდა. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოში დანერგილი სისტემის უნიკალურობა.

„საქართველომ მავნებლის წინააღმდეგ შეიმუშავა და დანერგა მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული პროგრამა. ახლა ვსწავლობთ ქართველებისგან, როგორ შეძლეს ეს. მადლობას ვუხდით ქართველ კოლეგებს, რომ ჩამოვიდნენ და თავისი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარეს, რადგან ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია,“ — განაცხადა ავსტრალიის სოფლის მეურნეობის, წყლისა და გარემოს დეპარტამენტის ბიოუსაფრთხოების მთავარმა ოფიცერმა იან ტომპსონმა.

საერთაშორისო კონფერენცია ავსტრალიის სოფლის მეურნეობის, წყლისა და გარემოს დეპარტამენტის ძალისხმევით ჩატარდა, რომელსაც 28 ქვეყნის სახელმწიფო უწყების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების 100-მდე მონაწილე და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის სამდივნოს (IPPC) წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს გამოცდილების გასაზიარებლად ავსტრალიელი მცენარეთა დამცველები საქართველოში 2019 წელს იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, მათ მოინახულეს საქართველოს რეგიონები, გაეცნენ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის მუშაობას და შეხვდნენ ფერმერებს.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, ბარათაშვილის №2-ში მდებარე სათაო ოფისის მე-3 სართულზე არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.012.009.01.529) ნაწილისა (1 კვ.მ.) და მე-6 სართულზე არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.012.009.01.531) ნაწილის (1 კვ.მ.) იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის — 2-510-281 მობილურის 577 240-233

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული, ქ/ს „გლდანი-220“-ს კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი ფართის - 1278 კვ.მ. იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში) გადაცემის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის — 2-510-281 მობილურის 577 240-233

რედაქცია „საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

სანთელი

ჩემს დაუვიწყარ და უსაყვარლეს დედას მერი (მარიამ) ჭანტურიას

დედავ, ჩემო დიდო სიყვარულო, დიდო ტკივილო და იარავ, 15 მარტს 10 წელი სრულდება, რაც მარადიულში გადახვედი. როგორ მიჭირს შენზე საუბარი ან მოსაგონარი წერილის დაწერა. რაც ჩვენ დავშორდით, მის მერე ჩემი სული განუწყვეტლივ სულ კვნესის, ბორგავს, დრტვინავს, შფოთავს, მაგრამ, როცა შენი გარდაცვალების თარიღი ახლოვდება, ეს ყველაფერი მიასკეცდება.

ახლა ღამის 2 საათი და 47 წუთია, საყვარელო, 12 მარტის დილა თენდება. დილა, რომელიც ძნელად მოსაგონარია ჩემთვის — სრულიად ჯანმრთელი უცებ, მოულოდნელად ცუდად გახდი. 15 მარტს მარადიულ სასუფეველში გადახვედი.

ოი, რა საშინელი, ენით აუწერელი წუთები იყო ჩემთვის... დედავ, საყვარელო, ჩემს სულთან განუყოფელო, სულის შემძვრელად მენატრები. მადლობა უფალს, მოსიყვარულე და მზრუნველი, უთბილესი ვაჟიშვილები მყავს ედუარდისა (იოანე) და გიორგის სახით, შვილიშვილებიც მომმადლა უფალმა, მაგრამ... მაგრამ შენ სულ სხვა იყავი. შენ ჩემი დიდი იმედი, ფარი, ნუგეში, დასაყრდენი ძალა და, რაც მთავარია, სულიერი მეგობარი იყავი. შენს მერე დაიხშო ჩემი გულის კარი. როგორ მინდა, შენთან ვიყო, მომენატრა შენი ალერსი, გულში ჩაკონვა, შენთან საუბარი... თან რამდენი მაქვს სათქმელი ამდენი ხნის უნახავ დედასთან.

უშენობა გამიჭირდა
სევდამ ვერ გამიარა,
ადრე სიხარული იყავ,
დღეს კი დიდი იარა.

იარა, რომელიც არ და ვერ მოშუშდება, სანამ კვლავ ერთად არ ვიქნებით. ის სიყვარულის სიმი, რომელიც გაბმულია ჩვენს გულებს შორის, უფლის წყალობით არასოდეს არ გაწყდება, დედა. მიყვარხარ, მიყვარხარ ძლიერ და მენატრები, მენატრები ძალიან.

უფალს ვთხოვ, სასუფეველში დაამკვიდროს შენი სული, საყვარელო! ამინ!

ნანული (ნანა) გუნია
შენი დედისერთა შვილი

შვილი (ნანული) ნანა გუნია, შვილიშვილები ედუარდი (იოანე) და გიორგი, ძმისშვილები გელა, დავითი, ნატო, ია ჭანტურიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ

მერი (მარიამ) მიხეილის ასული ჭანტურიას

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარში 14 მარტს, 13 საათზე.

საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აჭარის რეგიონალური ქალთა საბჭოს თავმჯდომარე

ნანი გუგუნავა

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ლამარა, ნელი, მაგული ჯიქიები, ალექსანდრე გურგენიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდი ქართველის, უახლოესი მეგობრის, პროფესორ

ნანი გუგუნავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

500 დოლარად - ერთი ყალბი მოწმობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, ერთი პირი ამხილეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტის, ერთ-ერთი გამგეობის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მოქალაქისთვის დაამზადა და 500 აშშ დოლარად გაასაღა წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო ყალბი მოწმობა. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამატებით ამოღებულია წვევამდელის შეუვსებელი მოწმობები, შტამპები და ბეჭდები.

მაღალბიუჯეტიანი ტურისტები და საქორწინო ტურიზმი

ბოლო დროს ქვეყანაში საქორწილო ტურიზმი საკმაოდ განვითარდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქორწილს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი წყვილებიც გეგმავენ. ორგანიზატორობას კი Malibu Flowers „მალიბუს ყვავილებს“ ანდობენ.

მალიბუ ფლავერსის დამფუძნებლებმა მარიამ კლდიაშვილმა „კომერსანტთან“ აღნიშნა რომ უცხოელი წყვილებიდან ინდოელები და ირანელები გამოირჩევიან, რადგან მათი წვეულება ყველაზე მაღალბიუჯეტურია.

უცხოელების მსგავსად ქორწილისა და სხვა წვეულებების გაფორმებას ბოლო დროს დიდ ყურადღებას ქართველებიც აქცევენ.

„თუ სხვა დროს გაფორმების საკითხი დიდად არ აინტერესებდათ ქართველ დამკვეთთ, ახლა პირიქით, შეიძლება საჭმელში ან სხვა დეტალში დაზოგონ თანხა, მაგრამ გაფორმება სრულყოფილი უნდა იყოს. ბოლო დროს კი ქართველი და უცხოელი წყვილები და, ზოგადად, სხვადასხვა წვეულების დამკვეთები თანაბრად გვყავს. უცხოელების შემთხვევაში, როდესაც ქორწილს გეგმავენ, ამჯობინებენ ნეიტრალურ ფერთა პალიტრას, უცხოელები ლოკაციის თვალსაზრისით, ძალიან ამსგავსებენ კახეთის მხარეს ტოსკანას და ის წყვილები,რომლებსაც უნდათ ქორწილის გადახდა ტოსკანაში, კახეთში მოდიან, — ამბობს მარიამ კლდიაშვილი.“

კომპანია ბაზარზე 2014 წლიდანაა და მოიცავს ქორწილის და სხვა წვეულების, როგორც ორგანიზებას, ისე გაფორმებას. მუშაობენ ყვავილებსა და სხვადასხვა დეკორაციაზე, რომლებსაც თავად აწყობენ.

მიუხედავად მოთხოვნისა მალიბუ ფლავერში აცხადებენ, რომ მათთან ფასების ზრდა მხოლოდ ყვავილებზეა დამოკიდებული, რადგან არასეზონზე ყვავილები უფრო ძვირია, თან ყვავილები შემოაქვთ ეკვადორიდან, ჰოლანდიიდან, ირანიდან, თურქეთიდან.

მარიამ კლდიაშვილი მსოფლიოში და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ გავრცელებული კორონავირუსის მიუხედავად მათ კომპანიას მუშაობა არ შეუჩერებია და ზაფხულში 5 უცხოელი წყვილის ქორწილის ორგანიზებითაა დაკავებული, რომელიც საქართველოშია დაგეგმილი.

ნათია ლომიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„უკანასკნელი დაისი ვუჰანში“

„უკანასკნელი დაისი ვუჰანში“ — ასე ასათაურებს პრესა ფოტოს, რომელიც კორონავირუსით დაავადებული პაციენტის გარდაცვალებამდეა გადაღებული. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ვუჰანში დოქტორმა ლიუ კაიმ COVID-19-ით დაავადებული პაციენტი საავადმყოფოს გარეთ გაიყვანა, რათა მისი უკანასკნელი სურვილი აესრულებინა — ენახა გარდაცვალებამდე ვუჰანის მზის ჩასვლა.

პრესამ სწორედ ამ ფოტოს უწოდა „უკანასკნელი დაისი“. შეგახსენებთ, ახალი რესპირატორული ვირუსი, რომელიც კორონავირუსის სახელით გავრცელდა, პირველად ჩინეთის ქალაქ ვუჰანში აღმოაჩინეს, ამ დროისთვის სულ 115 ქვეყანაა ინფიცირებული. დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით, ვირუსით დაინფიცირების სულ 114,543 შემთხვევა დადასტურდა. გამოჯანმრთელებული პაციენტების რაოდენობა 64,267-ს აღწევს, 4 028 კი გარდაიცვალა. ამ დროის მონაცემებით, საქართველოში დაინფიცირების 15 შემთხვევა დაფიქსირდა.

ვაშინგტონში პირველად მღვდელი დაავადდა

ამერიკელ მღვდელს, რომელმაც 500-ზე მეტ ადამიანს ხელი ჩამოართვა, კორონავირუსი დაუდგინდა. ამის შესახებ გამოცემა „ინდეფენდენთი“ წერს. ეს ქალაქში „კოვიდ 19“-ით დაინფიცირების პირველი შემთხვევაა.

მღვდლის დაინფიცირების შემდეგ, რამდენიმე ასეულ ადამიანს ორი კვირით თვითიზოლაციაში ყოფნისკენ მოუწოდებენ.

ვაშინგტონის ქრისტეს ეკლესია მე-19 საუკუნის შემდეგ პირველად დაიხურა. ეკლესია 1817 წელს აშენდა. რევერენდ კოლი კი ეკლესიას 2016 წლიდან ხელმძღვანელობს. თავად მღვდელი ამბობს, რომ კარგად მკურნალობენ და აუცილებლად გამოჯანმრთელდება.

მივბაძოთ ჰონგკონგელებს!

კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო გარკვეულ ხარჯებთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯების საკომპენსაციოდ, მოხმარების ჩვეული დონისა და ადგილობრივი ეკონომიკის მაჩვენებლების შესანარჩუნებლად, 18 წელს მიღწეულ ჰონგკონგის ყველა მოქალაქეს, ფინანსთა სამინისტრო 1200-1200 დოლარს გადასცემს.

აღსანიშნავია, რომ სხვა მიზეზთა გამო საკუთარ მოქალაქეთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა, მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც, მათ შორის, ვთქვათ, საუდის არაბეთში, ქუვეითში, სინგაპურში გავრცელებული პრაქტიკაა.

მაგალითად, 2018 წელს 2,8 მილიონმა სინგაპურელმა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ წინა წელს დაუხარჯავი 510 მილიონი დოლარი მიიღო(!), 2019 წელს კი, ქალაქის 200-წლიან იუბილესთან დაკავშირებით, 21 წელს გადაცილებულ თითოეულ სინგაპურელს 150-დან 300 დოლარი აჩუქეს პრინციპით — რაც ნაკლები ჰქონდა პირს შემოსავალი, მით მეტ ფულს იღებდა. 35 წელს გადაცილებულები კი, სამუშაო სტაჟისდა მიხედვით, დამატებით 100-360 დოლარს იღებდნენ. გარდა ამისა, ბავშვებსა და ახალგაზრდებს საგანმანათლებლო ანგარიშებზე 150-დან 500 დოლარამდე ჩაურიცხეს...

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7963; ევრო - 3.1931;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6604;
100 რუბლი - 3.7546; თურქული ლირა - 0.4580;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6469;
1000 სომხური დრამი - 5.8037.

ამინდი 11 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+5	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge